წელიწადი მესამე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ჩვენი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 27 ნოემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 45

## ჟურნალის შინაარსი

უდიდესი სკანდალი — **ს. ელიაძე**; ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები—**ალ. ხელაძე**; „ბრძოლის" რედაქციას—**ყარიბი**; განიარაღების კონფერენციის გამო—**უპარტიო**; რა სურს ემიგრაციას—**ლეო შენგელაია**; ჩვენი მრეწველობის ზრდა 27-28 წელში—**ნ. ელიავა**; ორი სამკუთხედი და ჩინეთი—**ივ. ნარსია**; ქალი ოქტომბრის დროშის ქვეშ—**გოგუცა გვაზავა**; ათი წელი—**ზ. ჯაფარიძე**; კლასი ამღავალი—ლექსი—**ნ. ზომლეთელი**; დისციპლინა—**შალვა გომართელი**; ძველი და ახალი სკოლა—**სოლომონ მესტიაშვილი**; საურთიერთო დახმარების კასები რკ.-გზის მუშებისათვის—**ლ. კუპრაშვილი**; საყურადღებო ფაქტი—**შოთა გოგუა**; წერილები პროვინციიდან.

# უდიდესი სკანდალი

ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, როდესაც პოლიტიკურ პარტიას, და ისიც ისეთს, რომელიც თავისთავს სოციალისტურს უწოდებს მიეღწიოს ისეთ გახრწნამდე, როგორსაც ჩვენ ვხედავთ საქართველოს მენშევიკურ პარტიის ისტორიაში.

მსოფლიო მენშევიზმი, როგორც სოციალისტური ფაქტორი მოკვდა ჯერ კიდევ 1914 წლის აგვისტოში, როდესაც მსოფლიო ომის დროს მისმა ლიდერებმა უმალვე დაივიწყეს მარქსიზმის პრინციპები, მუშათა კლასს მოუწოდეს ბურჟუაზიული სამშობლოს დასაცავად, პარლამენტებში ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და ბურჟუაზიულ მთავრობებში წამოასკუპეს თავიანთი წარმომადგენლები.

ამ დღიდან სოციალ - დემოკრატიული პარტიები თანდათანობით მიდიან გადაგვარების გზით და ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ისინი წარმოადგენენ ბურჟუაზიული პარტიების დამატებას; მათ დამხმარე ძალას კაპიტალისტური წესწყობილების დასაცავად. სხვანაირად შეუძლებელია ავხსნათ ის გარემოება, რომ დღევანდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამა და ტაქტიკა გადაჭრით უარყოფენ კლასთა ბრძოლის პრინციპებს და მუშათა კლასის თვალის ახახვევად სოციალიზმის განხორციელებას უკავშირებენ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას, თუმცა იმის მაგალითებიც ბევრი ვიცით, როდესაც სოც.-დემოკრატიულ პარტიებს უმრავლესობა ყავდათ პარლამენტებში, მთავრობაც სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებოდა, მაგრამ ამ მთავრობებს არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ სოციალიზმის საქმისათვის.

ამჟამად ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია მსოფლიო მენშევიზმის ყველა იმ მოღალატეობის აღნუსხვა, რომლებიც მათ ჩაიდინეს მუშათა კლასის მიმართ. ეს არც შეადგენს ამ პატარა წერილის მიზანს. მხოლოდ გვსურს ხაზი გაუსვათ მსოფლიო მენშევიზმის ერთ-ერთ შტოს—საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფერისცვალებას და აღვნიშნოთ, თუ სანამდი მიიყვანა ეს პარტია პროლეტარული რევოლიუციის სიძულვილმა და საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ ბრძოლამ.

მსოფლიო ომის დროს მენშევიკური პარტია მისი ლიდერის ნოე ჟორდანიას სახით მომხრე იყო მსოფლიო ომიდან თვითმპყრობელური რუსეთი გამარჯვებული გამოსულიყო. მართალია, პარტიის მასა ამ თვალსაზრისს სრულიად არ იზიარებდა და თვითმპყრობელური რეჟიმიდან თავის დაღწევას მხოლოდ ომში დამარცხებაში ხედავდა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, პარტიას ხელმძღვანელი ლიდერები, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა თავდაცვის მომხრეთ მოგვევლინენ. აქედან აშკარაა, რომ საქართველოს მენშევიკურმა პარტიამაც არ უღალატა თავის მოძმე პარტიებს და ისიც ისეთივე გზას დაადგა, როგორსაც სხვა ქვეყნების სოც.-დემოკრატიული პარტიები.

არ გამართლდა მენშევიზმის ლიდერების სურვილი, ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილმა მუშებმა და გლეხებმა აღარ მოისურვეს თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის ბატონობისათვის სისხლის ღვრა და ერთი შეტევით დაამხვეს თვითმპყრობელობის ტახტი.

რას ვხედავთ ამ დროს?

თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში რუსეთში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობდენ მენშევიკებისა და ესერების პარტიები. ჩხეიძე და წერეთელი ყველაზე პოპულიარულ პიროვნებებათ ითვლებოდენ მშრომელი ხალხის თვალში. მასების აღტაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ ხელით ატარებდენ პეტროგრადის ქუჩებში, მაგრამ ეს მასები მწარედ მოსტყუვდენ. მათ ვერ გაუმართლა იმედები მენშევიკურმა პარტიამ. ნაცვლად იმისა, რომ ძალა-უფლებას დაპატრონებოდენ, კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია მოიწვიეს ხელისუფლების სათავეში და თითონ კი მხოლოდ მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის დაწესებით სურდათ დაკმაყოფილებულიყვენ.

მაშინ საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიდერები ყველაზე უფრო მეტ პატრიოტებად ითვლებოდენ რუსეთის იმპერიის მთლიანობის. ისინი არავის აძლევდენ

ნებას ეროვნული საკითხის წამოყენებისათვის... ირაკლი წერეთელი უკრაინის ხალხს არწმუნებდა, რომ ეროვნული საკითხის წამოყენება დამღუპველი გახდება რევოლიუციისთვისო და ეს ქადაგება არ იყო მარტო მისი გამოგონილი, ის მოქმედობდა პარტიის დადგენილებით, მისი კარნახით.

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში?

მთელი პარტია ხელაღებით იცავდა რუსეთის მთლიანობას. მენშევიკური პარტიის პროპაგანდისტები ლაპარაკის უფლებას არ აძლევდა ფედერალისტების პარტიის ორატორებს, რომლებიც კუდშეკვეცილ ავტონომიას ითხოულობდენ. კიდევ მეტი, ამ პარტიის ზოგიერთი წევრები ეროვნულ დროშებს ხევდენ და მის მიტინგებზე გამოტანის საშუალებას არავის აძლევდენ. ასე გრძელდებოდა ოქტომბრის რევოლიუციამდე, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე.

რას ვხედავთ შემდეგ?

მენშევიკური პარტიის ლიდერებმა მეორე დღესვე იცვალეს ფრონტი ნაცვლად რევოლიუციის დახმარებისა, მათ ამიერ - კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რომელმაც ამიერ-კავკასიაში იმ დროს გაბატონებულ ნაციონალისტურ პარტიათა შორის დაუძლეველ წინააღმდეგობათა გამო, მხოლოდ თვენახევარი იარსება.

საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ უკანასკნელი დასაყრდენი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში იპოვა, მაგრამ აქ უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, საქმე ისაა, რომ როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს მენშევიზმის ლიდერები საჯაროთ აცხადებდენ, რომ ეს არის დროებითი ზომა, გამოწვეული რევოლიუციის გადასარჩენად, რა წამს რუსეთში დემოკრატიული წყობილება აღსდგება, ჩვენ ისევ ხელს ავიღებთ დამოუკიდებლობაზე და რუსეთს შეუერთდებითო. ეს იყო ნათქვამი არა მარტო დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებში, არამედ შემდეგაც. გაზეთ „ერთობის" ფურცლებზე არა ერთხელ დაიბეჭდა მოწინავე წერილი, რომლებშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ დამოუკიდებლობა არის დროებითი ზომაო და ამის მიხედვით გამოყავდათ შესაფერი დასკვნაც.

საქართველოს მენშევიზმის ლიდერები ვერ ელირსენ რუსეთში ბურჟუაზიული წყობილების აღდგენას, თორემ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავიანთ სიტყვას საქმეთ აქცევდენ, საქართველოს დამოუკიდებლობაზე თავისი ნებით აიღებდენ ხელს. ეს დღეს ისტორიული ფაქტია, ამის უარყოფა არავის შეუძლია, მაგრამ ისტორიის მსვლელობამ სულ სხვანაირად დაატრიალა მენშევიზმის ბელადების ჩარხი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ისინი საქართველოს საზღვრების გარეშე მოხვდენ და მას შემდეგ მართლაც გახდენ „დამოუკიდებელი საქართველოს" „დიდი პატრიოტები".

ზედმეტია ყველა იმ ფაქტების ჩამოთვლა, რომელსაც ქართული ემიგრაციის ლიდერები და კერძოდ მენშევიკები მიმართავდენ ამ შვიდი წლის განმავლობაში თავიანთი დაკარგული ბატონობის დასაბრუნებლად. მათ არ დაუტოვებიათ არც ერთი შემთხვევა, რომელიც არ გამოეყენებიოთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ევროპაში მომქმედი ყველა რეაქციონური ძალები, რომლებიც დაუძინებელი მტრები არიან საბჭოთა წყობილების, ყველანი გაიხადენ თავიანთ მოკავშირეთ. მათ დიდი ხანია დაივიწყეს სოციალისტისათვს ყოველგვარი მოვალეობა, მაგრამ ის, რაც მოხდა უკანასკნელ დღეების განმავლობაში ყველაზე უკეთ ახასიათებს მენშევიზმის საბოლოო გახრწნას.

ამ ხალხს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში იმდენად დაუკარგავს წონასწორობა, რომ დღეს აღარ თაკილობენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასაც კი.

დეპეშების გადმოცემით, გერმანიის ხელისუფლებამ დააპატიმრა ვინმე სარატიერაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყალბი ჩერვონცების ბეჭდვას და გასაღების საქმეს. ეს ფაქტი იმდენად დამამცირებელია პოლიტიკური პარტიებისათვის, რომ ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. როგორც ირკვევა ამ ორგანიზაციას ფართოთ ქონია ფესვები გადგმული არა მარტო გერმანიაში, არამედ, ევროპის თითქმის ყველა დიდ ქვეყნებში. ამ სასკანდალო საქმეში ჩაბმულია სანავთო კამპანიის მეთაური, საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი—დეტერდინგი, რომელიც, გაზეთების გადმოცემით, დაკავშირებულია „კავკასიის განმანთავისუფლებელ კომიტეტთან", ამ კომიტეტში კი მენშევიკების წარმომადგენელიც შედის.

მარტო ის ფაქტი, რომ ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელები დეტერდინგების ხელით ცდილობენ „საქართველოს განთავისუფლებას", იმ დეტერდინგის, რომელიც მხოლოდ ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს და რომლის მთავრობა ასეულ მილიონიან ერებს სჩაგრავს თავისი იმპერიალიზმის ქუსლის ქვეშ, საკმაოა, იმის დასამტკიცებლად, თუ სანამდის დაექანენ ისინი პოლიტიკური ბრძოლის ფრონტზე და ვის ინტერესებს ემსახურებიან.

მაგრამ ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ ამაზე უფრო საჯაყი სკანდალი არ მოსვლოდათ. ყალბი ფულების ბეჭდვა ხომ აღარ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ ბრძოლად და ამ საქმეშიც ისინი დღეს ორივე ფეხებით არიან ჩაბმული.

ეტყობა ამ გარემოებას საკმაოდ შეუფიქრიანებია მისი ხელმძღვანელები და ყოველ მხრივ ცდილობენ თავის დახწევას.

დეპეშები გვაუწყებენ, რომ დეტერდინგის ზეგავლენით „კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი" ცდილობს დაუმტკიცოს ბერლინის სამსაჯულოს გამომძიებელს ,რომ მას არასოდეს არ მიუცია სარატიერაშვილისათვის რწმუნება ფართეთ დაეყენებია ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმე, და რომ ამ უკანასკნელმა ეს საქმე დაიწყო საკუთარი ინიციატივით, ისე ,რომ იმ ორგანიზაცებმა, რომელსაც ის ეკუთვნის, არ იცოდენ ეს. „ახტურ აბენბლატ"-ის რედაქციაში გამოცხადდა „მენშევიკური მთავრობის" წარმომადგენელი ახმეტელი და განაცხადა ჟორდანიას სახელით, რომ საქართველოს მთავრობა არ არის ყალბ ჩერვონცების დამზადების მონაწილე".

აქ საზგასასმელია სიტყვები, რომ „სარატიერაშვილისათვის არასდროს არ მიუციათ რწმუნება **ფართოთ** დაეყენებია ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმე". ზემოხსენებული განცხადება სრულებითაც ვერ უარყოფს ფაქტს რწმუნების გაცემის შესახებ, სულ ერთია ეს რწმუნება სარატიერაშვილს დიდ უფლებას ანიჭებდა თუ პატარას. ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია..

რაც შეეხება ჟორდანიას დავალებით ახმეტელის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ვერც ეს გარემოება ჩაითვლება დიდ საბუთად, მით უმეტეს მანამდის, სანამ გამოძიება დასრულდებოდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული სასამართლო დიდად არ გაიცხელებს თავს გამოძიების სისწორით გამოსარკვევად, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ სისხლის სამართლის დანაშაულში ჩათრეულია ისეთი „დიდი პიროვნება, როგორიც დეტერდინგია. ინგლისის მთავრობამ უკვე გადასდგა ნაბიჯი გერმანიის სასამართლოზე გავლენის მოსახდენად. რათა დეტერდინგი ამ საქმიდან გამართლებული გამოიყვანონ და უნდა ვიფიქროთ, რომ კონსერვატიული მთავრობა მიაღწევს თავის მიზანს.

როგორი მსვლელობაც არ უნდა მიიღოს ამ საქმის შემდგომმა განვითარებამ, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, საზღვარგარეთ გადახიზნული ქართული ემიგრაციის ლიდერები, საბოლოოდ შესდგენ მოლიპულ გზაზე და

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის დღესასწაულის შემდეგ ყოველგვარ იმედ გაცრუებულნი, დღეს ყალბი ჩერვონცების ბეჭდვით ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. აქედან შესაფერ დასკვნას გააკეთებს საქართველოს თვითეული მშრომელი და ეტყვის ამ არა-მკითხე აპეკუნებს:

შორს ჩვენგან თქვენი ბოროტი საქმიანობა, თქვენ საბოლოოდ მოიხადეთ ნიღაბი პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და მრავალი დამარცხების შემდეგ, ყალბი ჩერვონცების ბეჭდვით გსურთ თქვენი შავი ზრახვების განხორციელება. ასეთი მოწინააღმდეგეებისათვის ჩვენი პასუხი ერთად-ერთია: დაუნდობელი ბრძოლა ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ მათ საბოლოო განადგურებამდე და სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერება.

ს. ელიაძე.

# ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები

III.

მენშევიზმი ევროპის მაგალითზე მიგვითითებს, ამ კლასიკური ქვეყნის მაგალითით ამართლებს თავის ევოლიუციონურ თეორიას. ჯერ ევროპაში უნდა მოხდეს სოციალისტური რევოლიუცია და შემდეგ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა მაგალითს აიღებს და ისეთსავე რევოლიუციას მოახდენსო.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ როგორ უყურებს რევოლიუციის პრობლემის საკითხს თვით ევროპის მენშევიზმი? როგორც ვიცით, 1919 წ. გერმანიაში იფეთქა რევოლიუციამ. ვილჰელმის მთავრობა დაეცა, სახელმწიფო ძალა-უფლება გერმანიის მენშევიკებს ჩაუვარდათ ხელში. იმ ჟამად ძალთა განწყობილება გერმანიაში აბსოლიუტურ თავისუფლებას ანიჭებდა მენშევიკურ პარტიას ისეთი სოციალ - ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილების დასამყარებლად, როგორც თვით ეს პარტია მოისურვებდა. გერმანიაში ამ პარტიას მეტოქე არა ყავდა, რადგანაც მონარქიზმთან ერთად დაეცენ ბურჟუაზიული კლასებიც. ომი წააგეს არა მარტო გერმანიის მონარქისტებმა, არამედ ყველა მმართველმა წრეებმა—მსხვილი ბურჟუაზიის სახით.

იმ ღამეს, როცა ვილჰელმ მეორე თავისი მემკვიდრეებით სხვის ტანისამოსში გამოწყობილი ჰოლანდიაში მიიპარებოდა, სახლიდან გამოძახებული იქნა გერმანიის მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი—შეიდემანი, რომელსაც ვილჰელმის პირველმა მინისტრმა იმპერატორის სახელით გადასცა სახელმწიფო ძალა-უფლება. ასე, მეორე დილას ბერლინის მცხოვრებლებმა და მთელმა გერმანიამ შეიდემანის მანიფესტით შეიტყო მეფის გადადგომა და ახალი ხანის დასაწყისი. ამრიგად გერმანიაში სოციალ - დემოკრატია შეიქნა ქვეყნის ბატონ - პატრონი. ეს პარტია აღმოჩნდა ვილჰელმ მეორეს კანონიერი მემკვიდრე...

დაარსდა მთელ გერმანიაში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. მენშევიკებმა დემოკრატიულ და სოციალისტური ლოზუნგებით მიმართეს გერმიანიის პროლეტარიატსა და ხალხს... და სწორედ ამ დროს მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. საიმპერიო საბჭომ მემარცხენე ს.-დემოკრატების ზეგავლენით და სპარტაკელების, ე. ი. გერმანიის მომავალი ბოლშევიკების მოთხოვნით, წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი გერმანიის მაღაროების, რკინისგზებისა და მსხვილ წარმოებათა ნაციონალიზაცია.

ამ საკითხის შესასწავლად და ყოველ მხრივ გამოსაკვლევად დაინიშნა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მეთაურობდენ კარლ კაუცკი და ედუარდ ბერნშტეინი. ამ კომისიამ საიმპერიო საბჭოს წარუდგინა მოხსენება, რომ რკინისგზების, მაღაროებისა და საერთოთ მსხვილი წარმოების ნაციონალიზაცია არ უნდა იქნეს მიღებული, რადგანაც ეს საქმე სახელმწიფოს ერთობ ძვირად დაუჯდება და ზარალის მეტს არავითარ სარგებლობას არ მისცემსო.

ასეთი „მეცნიერული“ გამოკვლევის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, რკინისგზები, მაღაროები და სხვა წარმოება, დარჩენ კერძო კაპიტალისტების ხელში.

ისმის საკითხი: მართლა დეფიციტიანია ეს წარმოებები გერმანიაში? მართლა ზარალს იძლევა იგი? და თუ ეს მართალია, კერძო მწარმოებლები რატომ აბანდებენ თავის კაპიტალს ამ წარმოებაში? მაგრამ საქმე ამაში როდია. კითხვა სულ სხვა სფეროში უნდა გადავიტანოთ. საქმე ის არის, რომ გერმანიის მენშევიკებს არ სურდათ ნაციონალიზაცია გაეტარებიათ და კერძო კაპიტალისტები მოემდურებიათ, მაგრამ, 1919 წ. რევოლიუციონურ პროლეტარიატს ასე აშკარად ამას ვერ ეტყოდენ. ამიტომ იყო, რომ მათ შექმნეს ერთგვარი კომედია, რომელშიაც გამოიყვანეს მეცნიერ - ექსპერტები და შეუდგენ იმის მტკიცებას, რომ ეს საქმე სახელმწიფოსათვის საზარალო იქნებაო.

კ. კაუცკისა და ბერნშტეინის კომისიამ გერმანიის პროლეტარიატი დაარწმუნა, რომ რკინისგზებისა და მაღაროების ნაციონალიზაცია პროლეტარიატისათვის მიუღებელია, რადგანაც საზარალოაო. მენშევიკებმა გერმანიის პროლეტარიატს დააშორეს სპარტაკელების ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა გერმანიაში პოლიტიკურ რევოლიუციასთან ერთად ეკონომიურ რევოლიუციასაც, მოითხოვდა ბურჟუაზიულ კერძო საკუთრების მოსპობას და საბჭოთა წყობილების გამოცხადებას. სპარტაკელების ბელადები: ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი ბერლინის ქუჩაში დახოცა მონარქისტულმა ოფიცრობამ სამხედრო მინისტრის მენშევიკ ნოსკეს კურთხევით.

თითქმის ასეთივე ისტორია მოხდა ავსტრო-უნგრეთში, სადაც ბელაკუნის კომუნისტური მთავრობა უნგრეთის ბურჟუაზიამ დაამარცხა მენშევიკების აქტიური დახმარებით. აქ მენშევიკებმა უარი განაცხადეს კომუნისტებთან საერთო ფრონტის შექმნაზე და თავისი ნებით ჩააბარეს ავსტრიის ქრისტიან „სოციალისტებს“ ან კლერიკალებს სახელმწიფო ძალა-უფლება.

ამ მაგალითიდან აშკარაა, რომ გერმანულ - ავსტრიული მენშევიზმი, როგორც საერთოთ მსოფლიო მენშევიზმი, როცა მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა და გარემოება ხელს უწყობდა, წინააღმდეგი იყო სოციალისტური რევოლიუციისა.

აქ თავისთავად იბადება კითხვა: თუ ჩამორჩენილ რუსეთში, ჩამორჩენილ როგორც ეკონომიურად, ისე სულიერი კულტურით, ჩამორჩენილი რუსეთის პროლეტარიატის ხელით შეუძლებელია სოციალისტური წარმოების გაჩაღება, სოციალიზმის დამყარება, რატომ გერმანიაში, სადაც კაპიტალიზმი უაღრეს წერტილამდეა მისული, სადაც ხალხი უფრო მომზადებულია, გერმანიაში, სადაც დიდი ხანია, რაც არსებობს წინასწარი პირობები სოციალისტური მეურნეობისთვის, რატომ მენშევიკები არც კი შეეცადენ სოციალიზმისაკენ საჭირო ნაბიჯების გადადგმას მაინც, რატომ მათ არ მოისურვეს კერძო წარმოებათა განსაზოგადოებრივობა. რატომ მათ არ დაეყრდნენ უაღრესად კულტუროსან პროლეტარიატს, რატომ არ მოისურვეს მათი დიქტატურა?

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მენშევიზმს როგორც საერთაშორისო რეფორმისტულ - სოციალისტურ იდეოლოგიას, სრულებით არა სწამს რევოლიუციონური მეთოდი. ის კაპიტალიზმის სოციალიზმში გადასვლას გულისხმობს ევოლიუციონური განვითარებით, თანდათანობით, რეფორმისტული გზით. მთელი მისი თეორია, მთელი მისი ორგანიზაცია და პრაქტიკა ამ გეზით არის მიმართუ-

ლი. ამიტომ რუსულ - ქართული და ევროპიული მენშევიზმი, არსებითად ერთნაირ, უარყოფითი დამოკიდებულებაში არიან რევოლიუციონურ მეთოდთან.

როგორც რუსეთის მენშევიზმი, ისე ევროპის მენშევიზმი არა სცნობს რევოლიუციონურ - მარქსისტულ მეთოდებს.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება. ხშირად შეხვდებით ეგრედ წოდებულ „მარქსისტებს", რომლებმაც შეითვისენ მარქსის მოძღვრებიდან მხოლოდ ის დებულება, რომ კაპიტალიზმის განვითარება თავისთავად მიიყვანს კაცობრიობას სოციალისტურ გარდაქმნამდე. დასახელებული „მარქსისტები" ზედმეტად სთვლიან რევოლიუციონურ ბრძოლას. აი, სწორედ საერთაშორისო მენშევიზმის მიერ მარქსიზმის მეცნიერული შესწავლა კაპიტალისტური ბუნებისაა. კაპიტალიზმის წინააღმდეგობის აღმოჩენა, მისი დიალექტიურად ახსნა-განმარტება წმინდა ფატალისტურია. რა საჭიროა ბრძოლა, როცა კაპიტალიზმი თავისი ობიექტიური განვითარებით და ისტორიული აუცილებლობით თვითონ მიაღწევს თავის საკუთარ უარყოფამდე, როცა იგი თვითონ შექმნის თავის ანტიპოდს კომუნისტურ საზოგადოებრივობას.

აქ, რასაკვირველია, უდავოა ის დებულება, რომ კაპიტალიზმი თვით ქმნის ნიადაგს სოციალისტური გარდატეხისათვის, რომ კაპიტალისტური მრეწველობა და ეკონომიკა თვით უმზადებს პროლეტარიატს გამარჯვებას, რომ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს არა მარტო როგორც სუბიექტიური ნება-სურვილით მებრძოლი პროლეტარული კლასისა, არამედ როგორც ისტორიული აუცილებლობა.

მეცნიერული მარქსიზმის დამსახურება სოციოლოგიაში სხვა მეთოდებთან შედარებით, მისი უპირატესობა სწორედ ამაში გამოიხატება. მაშინ, როცა უტოპისტ სოციალისტები სოციალიზმის გამარჯვების თეორიას თხზავდენ, სამართლიანობის, შებრალების, ფილოპტროპიის საფუძვლებზე და ზნეობრივი პრინციპის მიხედვით ცდილობენ ქვეყნად სოციალური უსამართლობის მოსპობას, მარქსი უარყოფს ასეთ მეთოდებს და წმინდა მეცნიერულ საფუძველზე აყენებს რევოლიუციის თეორიას და პრაქტიკას. ის ყველას დასანახად ამტკიცებს რევოლიუციის აუცილებლობას.

რაც შეეხება საკითხს: მომწიფდა თუ არა კაპიტალისტური მეურნეობა უმაღლეს ფორმაში გადასასვლელად, დადგა თუ არა მომენტი კაპიტალისტური ეკონომიკის ნანგრევებზე აშენდეს სოციალიზმი — კომუნიზმი, ამ რთულ პრობლემას, თეორეტიულად და პრაქტიკულად პასუხს აძლევს საერთაშორისო კომუნიზმის ბელადი— ლენინი. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის მეცნიერული შრომა, რომელიც ლენინმა უძღვნა ამ საკითხს. უკანასკნელი ფრაზა კაპიტალიზმის განვითარებისა არის ფინანსიური კაპიტალი. პოლიტიკური ფორმა და გამოხატულება ფინანსიური, მონოპოლიური კაპიტალისა არის თანამედროვე იმპერიალიზმი.

ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციამდე განსჭვრიტა ფინანსიური კაპიტალის განვითარების ტენდენცია და დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი გამოკვეთილი საერთაშორისო ტრესტებში, გაერთიანებული საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში უკვე გადაიქცა რეგრესიულ საზოგადოერივ ძალად,—რომელსაც მიჰყავს თანამედროვე საზოგადოებრივობის ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი კულტურა უფსკრულისაკენ, ვინაიდან საერთაშორისო ომი, როგორც რეალური უბედურება ლოღიკური შედეგია ფინანსიური კაპიტალის ბატონობისა.

ალ. ხელაძე

# „ბრძოლის" რედაქციას

Pro domo.

## VII

რატომ გადაუდგა პეტრე გელეიშვილი ჟორდანიასა და მის მთავრობას?

„ბრძოლის" გოშიებს ამის ასახსნელად წმინდა გოშიური ახსნა - განმარტება აქვთ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ადამიანს შეიძლება .ქონდეს რაიმე პრინციპიალური და კეთილშობილური მოტივები თავისი ამა თუ იმ მოქმედებისა და ნაბიჯების გასამართლებლად.

ისინი არა სცნობენ ბრძოლის რაიმე იდეურ საფუძველს; მათთვის მხოლოდ პირადი სარგებლობა, პირადი განორჩენის საკითხი, წმინდა მერკანტიული მიზანია თავი და თავი. ს.-დ. პარტიის ცნობილ „ჯამისტლაკიებს", რასაკვირველია, ვერ წარმოუდგენიათ, რომ გარდა „ატლოკვისა" და „ასლაქვისა" არის კიდევ რალაცა ისეთი მოტივი, რომელსაც შეუძლია ადამიანს ესა თუ ის ნაბიჯი გადაადგმევინოს...

რატომ გამოუცხადა პეტრემ ნდობა ჟორდანიასა და მის მთავრობას და შემდეგ რატომ უკან მიაქვს მას ეს ნდობა? — კითხულობენ „ბრძოლის" გოშიები და თავის მკითხველებს არწმუნებენ:

— იმიტომ, რომ „ამ ორ აქტს, — ესეიგი ნდობისა და უნდობლობის,—შუა, მოხდა ერთი პატარა ამბავი— პირველმა პეტრემ გაიგო, რომ ის თურმე საზღვარგარეთ არ მიდის და უცებ გადაიქცა პეტრე მეორედ. ახლა ამის გამო ის პასუხს თხოვს ჩხეიძეს, ჟორდანიას და მრავალ სხვა პირებს". (იხ. „ბრძოლა", № 1, 1925 წელი).

აქედან აშკარაა, რომ მე არავითარი პრინციპიალური და საზოგადოებრივი მოსაზრებით არ ვხელმძღვანელობ. როცა ჟორდანია - რამიშვილის წინააღმდეგ გამოვდივარ. თურმე მე პირადად გამანაწყენეს, არ წამიყვანეს, ევროპაში არ გამასეირნეს და მეც სამაგიეროს ვუხდი.

საბრალო „ბრძოლის" საბრალო გოშიები! „კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების!" რა გასაკვირია, რომ ამ ვაჟბატონებმაც მხოლოდ თავისი პირადი ბინძური ზრახვების პრიზმაში განსჭვრიტონ მოწინააღმდეგე.. ჩვენ მათ ვერ მოვთხოვთ, რომ მოწინააღმდეგეში რაიმე კეთილშობილური ემოციები იცნონ... მაგრამ მათ ის მაინც მოეთხოვებათ, რომ ჭკუას ცოტა ძალა დაატანონ და ისეთი ტყუილი მაინც სთქვან, რომ კარებამდე მიჰყვეს...

აბა ვინ დაუჯერებს ამ დიდი ჭკუის პატარა კოლოფებს, რომ პეტრე გელეიშვილს, დამფუძნებელი კრების წევრს და იმავე დროს თავმჯდომარეს იმ კომისიისა, რომელსაც დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციამ დაავალა საზღვარგარედ გასაგზავნი ხალხის საქმის მოწესრიგება, საზღვარგარეთ წასვლას ვინმე დაუშლიდა, თუ კი თვითონ ის ამას მოისურვებდა.

თუ მე საზღვარგარეთ წასვლა მინდოდა, ეს ხომ ჩემი უფლება იყო, როგორც დამფუძნებელი კრების წევრისა. ამაზე მე არავისი ნებართვა არ მჭირდებოდა. დამფუძნებელი კრების ყველა წევრებს წინდაწინვე ჰქონდათ გამოცხადებული, რომ, თუ ისინი სამშობლოდან გასვლას მოისურვებდენ, მთავრობა ვალად იდგენდა მათთვის ექვსი თვის განმავლობაში სრული ულუფა ეძლია საზღვარგარეთ.

ჩემი წასვლა - არ წასვლის საქმე ორ გარემოებაზე იყო დამოკიდებული. პირველი მიზეზი იყო ჩემი პოლიტიკური მიდგომა საქართველოს გასაბჭოების ფაქტისადმი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ჟორდანიასა და მის დღევანდელ ამხანაგებზე ნაკლებ არ ვეწინააღმდეგებოდი საქართველოს გასაბჭოებას. მე რითაც და როგორც შემეძლო ვიბრძოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცველად...

მაგრამ თბილისის დატოვების შემდეგ, ჩემთვის ცხადი იყო, რომ ბრძოლა წყლის უბრალო ნაყვა იყო. ბათომში მე ეს აშკარად გავახსენე ს.-დ. პარტიის იმ წევ-

რებს, რომლებიც საზღვარგარეთ მიბრძანდებოდენ და ჩვენ, იმათ, რომლებიც აქ, საქართველოში, ვრჩებოდით, კომუნისტურ პარტიასა და ხელისუფლებასთან ძველებური მეთოდით, არალეგალური ორგანიზაციების საშუალებით, ბრძოლის წარმოებას გვავალებდენ. მე მათ მოვახსენე, რომ კომუნისტებთან ბრძოლა ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც თვითმპყრობელობასთან ბრძოლა იყო. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ქართველი მუშები და გლეხები; ისინი, რომლებიც მანამდე ს.-დ. პარტიას ამშვენებდენ, მალე გაერკვეოდენ საქმეში და დაუყოვნებლივ გადავიდოდენ კომუნისტური პარტიის რიგებში. ამან გამოიწვია ის ინციდენტი, რომელზედაც მე ზემოთ მოგახსენეთ და რომელიც ჩემსა და ნ. ხომერიკს შორის, რევოლვერების ტრიალით დამთავრდა.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი კურიოზული დეტალიც. სწორედ იმ ჩემთვის არასასიამოვნო ინციდენტს შემდეგ, ასეთ დიოლოგს ჰქონდა ადგილი ჩემსა და ნოე რამიშვილს შორის:

— აბა შენ ახლა, როცა სახლში დაბრუნდები, „წითელი წიგნის“ ნაცვლად შავ წიგნს დასწერ.

— დიაღ, დავწერ და იმ წიგნის მთავარი გმირი შენ იქნები!...

მგონი, ჯერ ვალში არ დავრჩენივარ მოქ. ნ. რამიშვილს. ვეცდები, აწიც ვემსახურო რითაც კი შემეძლება.

მეორე მიზეზი, რომელიც მე მაიძულებდა საქართველოდან არ წავსულიყავი, წმინდა ოჯახური იყო. ჩემი არ წასვლა ჩემმა ოჯახმა ასე დაასაბუთაა:

— ნუ წავალთ, რადგანაც საზღვარგარეთ სიმშილითაც რომ დავიხოცოთ, აქ, საქართველოში, მაინც არავინ დაგვიჯერებს. ხალხი ასე იტყვის: ცხოვრობენ იქ ხალხის ხარჯზე. რა ენაღვლებათ: ისარგებლეს შემთხვევით და შვილებს ხალხის ფულით ზრდიან გერმანიასა და საფრანგეთში.

ასეთი იყო ჩემი ოჯახის ყველა წევრების აზრი ამ საგანზე... მაგრამ მე ჩინებულად ვგრძნობ, რომ ასეთი მოწმობა მკითხველებისთვის არ გამოდგება. მკითხველი ამაზე სამართლიანად იტყვის: მელიამ თავისი კუდი მოწმეთ მოიყვანაო.

ამიტომ მივმართავ სხვა, უფრო ფეხმაგარ საბუთს.

ასეთი საბუთი კი ის არის, რაზეც მე ზემოთ მოგახსენეთ: ვიყავი იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც დავალებული ჰქონდა საზღვარგარეთ წასვლის საქმის მოწესრიგება. ეს გარემოება ' დავიწყებია „ბრძოლის“ ბრძენ პუბლიცისტებს და მით თავის თავს ერთხელ კიდევ საქვეყნოდ იმათრახებენ.

საქმე ასე იყო: დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციამ თავისი წევრებისაგან აირჩია კომისია, რომელსაც ამ საქმის მოწყობა დაავალა. კომისიაში აირჩიეს, წევრებად: ექ. ივანე გომართელი და ვასო ცაბაძე, თავმჯდომარედ პეტრე გელეიშვილი.

ფრაქციის ინსტრუქცია ასეთი იყო:

„კომისიას ევალება მოაწესრიგოს საზღვარგარეთ წასვლა ისეთი პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებსაც თავისი წარსული მოქმედების მიხედვით, არ ედგომებათ გასაბჭოებულ საქართველოში და რაიმე საფრთხე მოელის კომუნისტური ხელისუფლების მიერ. ასეთ პირებად ფრაქციას მიაჩნია: 1. დამფუძვებელი კრების წევრები, უფრო კი ისინი, რომლებიც სამშობლოდან წასვლას თვითონ მოისურვებენ, 2. სამხედრო შტაბის მუშაკები, როგორც გვარდიიდან, ისე მუდმივი ჯარის შტაბიდან., 3. ოფიცრები., 4. პროფესიონალური კავშირების პასუხისმგებელი მუშაკები, 5. ერობათა და ქალაქების თავები, 6. უწყებათა მაღალი მოხელეები და 7. საზოგადოდ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლების საქართველოში დარჩენას თვით კომისია იცნობს დაუშვებლად“.

ამ კომისიამ ინსტრუქციასთან ერთად მიიღო საზღვარგარეთ წასასვლელი გემების სახელები და ცნობები, იმის შესახებ, თუ რომელი გემი როდის გავიდოდა და რამდენ ლტოლვილებს წაიყვანდა.

ბათომიდან წინდაწინ გადაწყვეტილებით უნდა გასულიყვენ:

10 მარტს, „იუნო“, რომელზეც ჩვენ ლტოლვილებისთვის გვეძლეოდა 200 ადგილი.

11 მარტს „სანტა ტერეზა“. გვეძლეოდა ლტოლვილებისთვის 400 ადგილი.

12 მარტს „ჩიტა ვენეცია“, გვეძლეოდა ლტოლვილებისთვის 200 ადგილი.

13 მარტს „ალდო“, გვეძლეოდა ლტოლვილებისთვის 200 ადგილი.

14 მარტს, „ბარონ ბეკ“, გვეძლეოდა ლტოლვილებისთვის 400 ადგილი.

15 მარტს „ფრანც იოსიფ კერალი“, გვეძლეოდა 400 ადგილი.

სულ კომისიის განკარგულებაში ამ ექვს გემზე უნდა ყოფილიყო 1800 ადგილი.

ჩვენი კომისია პირველ დღიდანვე ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მან კოოპტაციის საშუალებით კომისიის წევრებად მოიწვია: პროფესიონალური კავშირებისა და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები და შეუდგა საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა სიების გადათვალიერებას. კომისიაში მოწვეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: რ. ლოცაბიძე — ლითონის მუშათა კავშირის წარმომადგენელი, დ. გაჩეჩილაძე — ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე და ალფეზ ხელაძე — პროფესიონალური კავშირების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიამ დაავალა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულს ბათომში ამხ. გრიგოლ გიორგაძეს, რომ მას დაჩქარებით ეზრუნა საზღვარგარეთ წასასვლელებისთვის საჭირო ბილეთების მომარაგებაზე და, თუ არა ამ კომისიის ნებართვითა და განკარგულებით, არავისთვის არ მიეცა საზღვარგარეთ გასასვლელი ბილეთი.

სულ ორ დღეში მოვახდინეთ საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა რეგისტრაცია. მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დასახელებულ გემებზე ლტოლვილებისთვის აღთქმული ადგილები. დამფუძნებელი კრების წევრების დიდმა უმეტესობამ გამოსთქვა წასვლის სურვილი. ბევრი ისეთები, რომლებსაც, კომისიის აზრით, უფლება ჰქონდა საზღვარგარეთ წასვლისა, ცდილობდენ თან წაეყვანათ არა მარტო ცოლ-შვილი, მახლობელი ნათესავებიც კი. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბათომში ყველა განიცდიდა საშინელ პანიკას, რაც წითელი არმიის მოახლოვებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ყველას გასაქცევად ეჭირა თვალი.

ისეთებიც კი ფიქრობდენ გაქცევას, რომლებსაც სრულიადაც არ გულისხმობდა კომისიის ინსტრუქცია, რომლებსაც არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჰქონდა რაიმე დამოკიდებულება, არც დამცველ რაზმებთან და არც რომელიმე შტაბთან.

უბრალო კულტურული მუშაკებიც კი თვალცრემლიანი გვხვდებოდენ: მხოლოდ გაგვიშვით და პირობას მოგცემთ, რომ არავითარი საზრდო არ მოვთხოვო მთავრობას საზღვარგარეთო. მახსოვს რკინის გზის ერთი ინჟენერი, რომელიც ცოლითა და მოხუცი სიდედრით გვესტუმრა კომისიაში და გვემუდარებოდა: მხოლოდ გამიშვით და არაფერ საზრდოს არა გთხოვთო. ვერაფრით ვერ დავუმტკიცე, რომ მას არავითარი ხიფათი არ მოელის და გასაბჭოებული საქართველო ისევე ისარგებლებს მისი ცოდნითა და შრომის უნარით, როგორც სარგებლობდა დემოკრატიული საქართველო... მოხარული ვარ, რომ ჩემი ასეთი წინასწარმეტყველება გამართლდა და ეს ინჟენერი დღეს უაღრესად დიდ საქმეებს ხელმძღვანელობს საბჭოთა საქართველოში.

საყურადღებოა, რომ მხოლოდ მუშათა ორგანიზაციებს არ ეტყობოდა წითელი არმიის მოახლოვებით გა-

მოწვეული შიში. მთელმა რკინის გზამ მხოლოდ ორმოცი კანდიდატი დაასახელა გასაგზავნათ. მაგრამ როცა ამ კანდიდატების სიას გავეცანით, ჩვენ მხოლოდ რვა კაცი ვიცანით წასვლის ღირსად. რკინის გზის წარმომადგენლები ამაზე უსიტყვოდ დაგვეთანხმდენ, მათ არავითარი უკმაყოფილება არ განუცხადებიათ.

შუაგულ მუშაობაში ვიყავით, როცა ამხ. გრ. გიორგაძემ გამოგვიცხადა, რომ მთავრობამ მას ჩამოხადა პასპორტების აღების საქმეზე ზრუნვა და ბენია ჩხიკვიშვილს მიანდო იგიო. ამხ. გიორგაძემ ამას დაუმატა, რომ მთავრობის ყველა წევრებსა და მათთან დაახლოებულ პირებს უკვე აქვთ აღებული საზღვარგარეთ წასასვლელი ვიზა დაკრული პასპორტებიო.

პირველად ჩვენ ამას ყურადღება არ მივაქციეთ. ის კი ვერაფრად მოგვეწონა, რომ მთავრობა და მისი კამარილა დამფუძნებელი კრების კომისიის გარეშე აწყობდა საქმეს, მაგრამ გიორგაძის ჩხიკვიშვილით შეცვლას მაინცა და მაინც დიდ მნიშვნელობას ვერ მივცემდით და მუშაობა განვაგრძეთ.

კომისიას დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის დადგენილებით, ევალებოდა საზღვარგარეთ წასასვლელებისთვის საჭირო ფული მიეღო მთავრობიდან. ფულების საქმე, როგორც გვითხრეს, მინდობილი ჰქონდა ნოე ხომერიკს, რომელიც ბათომში ჩვენი ჩასვლის პირველი დღიდანვე იჯდა „იტალო — კავკაზსკი“ ბანკში და დიმიტრი ოფხაზთან ერთად ქართულ ბონებს საზღვარგარეთის ვალიუტაზე ახურდავებდა.

ხომერიკი ჩვენს კომისიას ერთხელაც არ მოკარებია. კომისიამ მასთან კანტაქტის მოწყობა ვერ შესძლო. საზღვარგარეთ წამსვლელი ამხანაგები კი გვაშურებდენ. მეტი ჯანი არ იყო, რაც უნდა დაგვჯდომოდა. ხომერიკი უნდა მოგვენახა. კომისიის ოთახში მაინც არ გვედგომებოდა: ყველა ფულებსა და პასპორტებს გვთხოვდა...

პირადად ჩემთვის აშკარა იყო, რომ ჩვენს კომისიას ჟორდანიას მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის თვალების ასახვევ საშუალებათ იყენებდა და ის ჩუმათ აკახრაკებდა თავის სასურველი კანდიდატების წაყვანის საქმეს. ამ მიზნით ს.-დ. პარტიის ლიდერები დიდ მუშაობას აწარმოებდენ.

ბათომში ამ ნიადაგზე შექმნეს, მაგალითად, ასეთი კომბინაცია: დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ახალი, მათთვის უფრო ხელსაყრელი პირებით შეცვლა მოინდომეს. ეტყობა, ალექსანდრე ლომთათიძე მათ ასე პირად არ მიაჩნდათ და მის მაგიერად ხომერიკის არჩევა მოინდომეს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მეორე თანაშემწეთ მოქ. რაჟდენიძე წამოაყენეს. ასეთი წინადადებით შემოვიდენ ს.-დ. პარტიის ლიდერები დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის სხდომაზე. და თუ მათ ასეთი კომბინაცია ვერ განახორციელეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრების პლენარული სხდომის მოწყობა ვერ გაბედეს და უამისოთ კი ამ კომბინაციის დაკანონება შეუძლებელი იყო...

მაგრამ დავუბრუნდეთ ხომერიკის ძებნის ისტორიას. კომისიის სამივე წევრი ერთად შევუდექით ხომერიკის ძებნას... ჩვენ უკვე დავკარგეთ მისი მონახვის იმედი, როცა ის, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში შემოგვხვდა. როცა ჩვენი მოთხოვნილება წარუდგინეთ და წამსვლელებისთვის ფულების მიცემა ვუთხარით, გვიპასუხა:— ეს ჩემი საქმე არ არისო...

იმავე ღამეს ფრაქციის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ და განაცხადა, რომ ეს კომისია მთავრობისთვის უბრალო შირმაა. ხალხს ატყუილებენ — კომისია არსებობს და მას მიმართეთო და იმავე დროს მთავრობა თვითონ აკახრაკებს საქმეს: ის თვითონ იღებს საზღვარგარეთ წასასვლელ ბილეთებს თავისი სასურველი კანდიდატებისათვის და კომისიის მიერ არჩეულ კანდიდატებს ფულს არ აძლევსო. კომისიის წევრები თხოვდენ ფრაქციას კომისიის გაუქმებას და კომისიის ნამუშევარის დამფუძნებელი კრებისთვის გადაცემას.

ფრაქციის ეს სხდომა დამთავრდა ინცინდენტით: ხომერიკმა და კომისიის თავმჯდომარემ რევოლვერებით მიიწიეს ერთმანეთთან...

ფრაქციამ კომისიას მაინც დაავალა მუშაობის გაგრძელება. კომისია დაემორჩილა ფრაქციას და მუშაობა განაგრძო... გადაწყდა: ს.-დ. პარტიის ცეკასთან ერთად უნდა შეგვემოწმებია ჩვენ მიერ შემუშავებული წამსვლელთა სიები. ამ მიზნით ცეკამ თავის მხრით დანიშნა ამხ. სეით დევდარიანი, რომელთანაც შეთანხმებით შეერთებული სხდომა დავნიშნეთ ს.-დ. პარტიის ცეკას ბინაზე დილის 9 საათზე. 9-დან 12 საათამდე ვიცადეთ. არც დევდარიანი, არც ცეკას სხვა ვინმე წარმომადგენელი არ გამოცხადდა. აშკარა იყო, რომ კომისიის წევრებს აქაც ატყუილებდენ. ამიტომ კომისიამ გადაწყვიტა შეედგინა შემდეგი ოქმი:

„ქვემორე ხელის მომწერლები: პროფკავშირების წარმომადგენლები და დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის სპეციალური კომისიის თავმჯდომარე. ს.-დ. პარტიის ცეკასთან შეთანხმებით შევიკრიბეთ ცეკას ბინაზე საზღვარგარეთ წასასვლელი კანდიდატების სიების შესამოწმებლად. სხდომა დანიშნული იყო დილის 9 საათზე. ვიცადეთ 12 საათამდე, მაგრამ სხდომაზე არ გამოცხადდა ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული წარმომადგენელი ს. დევდარიანი. კომისია ადგენს: საზღვარგარეთ წამსვლელთა გამომუშავებული სიები წარუდგინოს საჭირო განმარტებით დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციას და თხოვოს მას გააუქმოს თავისი კომისია, რომელსაც მათვრობა და პარტია არავითარ ანგარიშს არ უწევს“.

ხელს აწერენ:

კომისიის თავმჯდომარე, პეტრე გელეიშვილი.

წევრები:

ალფეზ ხელაძე;
დ. გაჩეჩილაძე;
რ. ლოცაბიძე;

13 მარტი, 1921 წ. ქ. ბათომი.

ასეთი იყო საქმის ვითარება.

აქედან მკითხველი მიხვდება: შემეძლო თუ არა მე საზღვარგარეთ წასვლა, თუ კი ამას მოვისურვებდი. ესეც არ ყოფილიყო, რაღა მაინცა და მაინც მე უნდა გამჭირვებოდა წასვლა, როცა ბოლოს ისე მოეწყო საქმე, რომ სრულიად უპასპორტოთ, მთავრობის ან სხვა ვისიმე დაუკითხავად მიდიოდა ყველა, ვისაც კი წასვლის სურვილი ქონდა. გემები: „ვესტა“ და „მარია“-ზე, რომლებიც ფქვილით, კონსერვებით და სურსათით იყვენ დატვირთული, ასობით ხალხი წავიდა უპასპორტოთ და ვისიმე ნება დაურთველად.

მაშ რათ დასჭირდათ „ბრძოლის“ კალმოსნებს ჩემს წინააღმდეგ ასეთი „საბუთების“ მოყვანა?

**ყარიბი.**

# განიარაღების კონფერენციის გამო

განიარაღების საკითხს აქვს 7—8 წლის ისტორია. მას ამ ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეგრედ წოდებული ერთა ლიგა, ეს ვითომდა მშვიდობიანობის სათნოებისა და კაცთმოყვარეობის დამცველი უმაღლესი ორგანო. არა ერთხელ გამართა ერთა ლიგამ განიარაღების კონფერენცია ჟენევაში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არამც თუ მოხდა განიარაღება, არამედ გაორკეცებული ენერგიით სწარმოებს შეიარაღებისათვის მუშაობა. სამხედრო ტეხნიკა თანდათან ვითარდება, საჰაერო სამხედრო ძალამ განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად მილიონობით იხარჯება, ადამიანის სხეულის მომწამლავ და მომშხამავ გაზებისათვის მუშაობა წა[illegible]მატებით მიმდინარეობს, ერთა ლიგა კი ყოველწლიწადს განიარაღებაზე ლაყბობს. ვისთვის ან რისთვის

არის საჭირო ეს თვალთმაქცობა? ერთა ლიგა ორი კურდღლის მადევარია: ვითომ მშვიდობიანობაც სურს და იმპერიალისტების გულის მოგებაც, მაგრამ ორივეს თუ არა პირველ მიზანს მაინც მიაღწია ერთა ლიგამ: მან საბოლოოდ მოიგო იმპერიალისტების გული, რომელიც დღეს ახალ სასაკლაოს უმზადებს კაცობრიობას. ასე გაფაციცებით იარაღდება სახელდობრ ის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლის წარმომადგენლები საკმარისად არის ერთა ლიგაში და განიარაღების ეგრედ წოდებულ მოსამზადებელ კომისიაში.

ერთად - ერთი სახელმწიფო, რომელსაც არ მიუღია დღემდე მონაწილეობა ვითომდა განიარაღებისათვის სალაყბო კონფერენციაზე, ეს არის საბჭოთა კავშირი. ის ყველაზე უფრო გულწრფელი მომხრეა განიარაღების, მას ყველაზე უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი მომავალი ომის საშინელებანი, მიტომ არის, რომ ის არ წამოეგო იმპერიალისტების მიერ გადმოსროლილ ომის გამომწვევ ანკესებზე. საბჭოთა დიპლომატია დათმობის პოლიტიკას არჩევს მაშინ, როცა გრძნობს, რომ ჰაერი ომის სუნით იჟღინთება. ეს მან არა ერთხელ დაამტკიცა საქმით. ამის დასადასტურებლად აუარებელი ფაქტი არსებობს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიაში. თუ საბჭოთა კავშირს მაინც ყავს რევოლიუციის საგუშაგოზე წითელი არმია, თუ დღეს ისიც აწარმოებს სამზადისს თავდაცვისათვის ეს ისევ და ისევ იმპერიალისტების წყალობით, რომლებიც ათი წელიწადია, რაც გადაყლაპვას უპირებენ ერთად-ერთ სოციალისტურ სახელმწიფოს.

საბჭოთა მთავრობა დღემდე შორიდან ადევნებდა თვალყურს განიარაღების შესახებ ლაყბობას. მას ჟენევის კონფერენციაზე ჯერ მონაწილეობა არ მიუღია. მხოლოდ 1926 წელს მიიწვიეს საბჭოთა მთავრობა განიარაღების კონფერენციაზე. მან 1926 წელს 16 იანვრის ნოტაში ასე უპასუხა „განმაიარაღებლებს": „საბჭოთა მთავრობა მიესალმება რა განიარაღების ყოველგვარ ცდას, მას გულწრფელი სურვილი აქვს მიიღოს განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობა". მაგრამ მიუხედავათ ამისა, ერთა ლიგამ მაინც არ მისცა საშუალება საბჭოთა დელეგაციას მონაწილეობა მიეღო განიარაღების კონფერენციაზე, ვინაიდან კონფერენცია დანიშნეს ჟენევაში, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირს გამწვავებული მდგომარეობა ჰქონდა შვეიცარიასთან ამხ. ვოროვსკის მკვლელობის ნიადაგზე. ეს გარემოება საბუთად გამოიყენა ბურჟუაზიულმა და შემთანხმებელთა პრესამ: მათ ქვეყანას მოსდვეს ჭორები, ვითომ საბჭოთა მთავრობას არ სურდეს განიარაღების საკითხის მოგვარება. ეხლა კი კონფლიქტი შვეიცარიასთან მოგვარებულია და საბჭოთა მთავრობამაც გააგზავნა თავისი დელეგაცია კონფერენციაზე ამხ. ლიტვინოვის თავმჯდომარეობით. საბჭოთა მთავრობა გულწრფელი მომხრეა განიარაღების, მას ამ მიზნით სურს გამოიყენოს ჟენევის კონფერენციაც კი, მაგრამ ჯერ არ დაწყებულა კონფერენცია, მოსამზადებელ კომისიაშიაც არ არის ჯერ მოგვარებული მუშაობის პირობები, და ბურჟუაზიული პრესა მაინც საგონებელში ჩავარდა; მისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რატომ დასთანხმდა ამდენხანს „გაბუტული" საბჭოთა მთავრობა განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე. სხვადასხვა მოტივებით ხსნის ამ მოულოდნელ მოვლენას იმპერიალისტების პრესა. ზოგის აზრით, საბჭოთა მთავრობა მხოლოდ პროპაგანდის მიზნით აგზავნის თავის დელეგაციას ჟენევის კონფერენციაზე; ზოგი კი ფიქრობს, რომ ვითომ რაღაც დიდი ცვლილება მოხდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში, როგორც განიარაღების საკითხში, ისე ერთა ლიგასთან დამოკიდებულებაში. ბურჟუაზიული პრესის ასეთ განგაშის გამო ლიტვინოვი იძულებული იყო, ყველას გასაგონათ განეცხადებია, თუ რატომ მიდის საბჭოთა დელეგაცია **ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე**. მან სთქვა: „კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაცია წინადადებით მიმართავს თავის მეზობლებს, რომ მშვიდობიანობის დამყარების მიზნით დადებულ იქნას საუზრუნველყოფო ხელშეკრულება. საბჭოთა მთავრობა გამოდის რა თავის სამშვიდობო პოლიტიკიდან, სრულ და საყოველთაო განიარაღების მომხრეა. თუ კაპიტალისტური ქვეყნები მიუღებლად სთვლიან სრულ განიარაღებას ერთი ხელის დაკვრით, ან და ეს შეუძლებლად მიაჩნიათ უახლოეს დროში, საბჭოთა დელეგაცია თანახმაა, რომ განიარაღების საქმე განხორციელდეს კონფერენციის მიერ დანიშნულ ვადებში. ჟენევაში საბჭოთა დელეგაცია მიდის თავის დამოუკიდებელი პროგრამით. ის ჩათვლის თავის მოკავშირეთ იმ დელეგატებს, რომლებიც მხარს დაუჭერენ ამ პროგრამას ან და გამოვლენ ასეთივე წინადადებით. საბჭოთა დელეგაცია კონფერენციაზე მოითხოვს საბჭოთა კავშირის ნამდვილ უზრუნველყოფას".

ლიტვინოვის ამ განცხადებიდან ნათლად სჩანს, თუ რა მიზნით გაგზავნა საბჭოთა მთავრობამ თავისი დელეგაცია განიარაღების კონფერენციაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა დელეგაციას მხარს დაუჭერს კონფერენციაზე ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობიანობა, ვინც გულწრფელი მომხრეა განიარაღების. საბჭოთა დელეგაციას საშუალება ექნება ჟენევაში მთელი ქვეყნის მშრომელთა საყურადღებოთ, ერთხელ კიდევ გამოაშკარაოს და დაასაბუთოს თავისი სამშვიდობო პოლიტიკა. მას საშუალება ეძლევა აგრეთვე გადუშალოს მშრომელთა მასებს საშინელი სურათი მომავალი ომის, რომლისთვის ასე გულმოდგინეთ ემზადება საერთაშორისო იმპერიალიზმი. დღევანდელ პირობებში ჩვენ ძალიან ცოტა იმედი გვაქვს ჟენევის განიარაღების კონფერენციის, გვეეჭვება, რომ ეხლა რამე გამოვიდეს ამ კონფერენციიდან, მაგრამ საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ დაამტკიცებს კაცობრიობისა და ისტორიის წინაშე, თუ როგორ გულწრფელად სურს საბჭოთა კავშირს მშვიდობიანი ყოფა - ცხოვრება, თუ როგორ მიილტვის მშვიდობიანობისაკენ სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასები.

უპარტიო

# რა სურს ემიგრაციას

8.

## ამიერ-კავკასიის ფედერაცია

ქართველ ემიგრაციას დღე მუდამ პირზე საქართველოს დამოუკიდებლობა აკერია, ამ დამოუკიდებლობაზე გაჰკივის ის ყოველ გზა ჯვარედინზე, მხოლოდ მასზე „ზრუნავს" და „იღწვის" იგი. ამ დამოუკიდებლობას ერთი მისხალიც რომ აკლდეს—მას არ უნდა ასეთი საქართველო თუნდაც ის კიდეც აყვავდეს და ყოველ დღე წინ მიდიოდეს.

ემიგრაცია, რა თქმა უნდა, თავს ესხმის ამიერ-კავკასიის ფედერაციას და უარყოფს მას, ვითარცა ბოლშევიკურ წარღვნას. აქედან ზოგიერთ გულუბრყვილოს ის დასკვნა გამოყავს, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის ერთად-ერთი ჭეშმარიტი დამცველები ჟორდანია-რამიშვილები იყვნენ, ნამდვილად კი ბევრმა არ იცის, რომ ძველებური „ასი" პროცენტიანი დამოუკიდებლობა მან კარგა ხანია ახალი ლოზუნგით შესცვალა, რომელია ეს ლოზუნგი?...

სინამდვილე არას დროს არ წყალობდა ნ. ჟორდანიას „თეზისებსა და პროგნოზებს", არც ერთი მათგანი ცხოვრებაში არ გამართლებულა, განსაკუთრებით ეს გარემოება თვალსაჩინოა, ეროვნულ საკითხში. ყველამ იცის მერყეობა და წაჯეგ უკუჯექობა, რომელიც ნ. ჟორდანიამ ამ საკითხში განიცადა.

აღვადგინოთ ჩვენ მეხსიერებაში მხოლოდ ზოგიერთი ფაქტები. 1917 წელს უკვე თებერვლის რევოლი-

უციის შემდეგ მან წამოაყენა ასეთი ფორმულა: სამი კანტონი და ერთი ნეიტრალური ეროვნული შტატი. ეს ნეიტრალური შტატი უნდა ყოფილიყო თბილისი.

1918 წლის აპრილში გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, შეიქმნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. დღეს უდავოა, რომ ეს აქტი ნაკარნახევი იყო გარეშე ძალების მიერ. იდეა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წამოაყენეს პირველად ნაციონალ-დემოკრატებმა.

ამ იდეას ებრძოდენ მენშევიკები, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ თვითონ გახდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ავტორები. მენშევიკ-პუბლიცისტები არ ზოგავდენ თავის პუბლიცისტურ უნარსა და ცოდნას, რომ დაემტკიცებიათ ამიერ-კავკასიის ერების ინტერესთა ერთობა, მათი სოლიდარული ცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცილებლობა, რამაც სულ ორიოდე კვირა გასტანა, იგივე ხალხი, იგივე კალამი სწერდა დიამეტრალურად საწინააღმდეგოს. „სად თეკლე და სად ერეკლე“, რისი ამიერ-კავკასია, ვისი ერთობა და სოლიდარობაო, გვეუბნებოდენ. დრო გადიოდა.

1921 წლის ქარიშხალი თავის საქმეს აკეთებდა. 1922 წელს დაისვა და გადაწყდა კიდეც ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი. ამ საკითხს ბრძოლა და უთანხმოება გამოუწვევია თვით ქართველ კომუნისტებში. ამის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები მიაწოდა საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობას ამხ. მ. კახიანმა.

„1922 წლის 5 სექტემბერს, მოგვითხრობს ამხ. კახიანი, ძველმა ცენტრალურმა კომიტეტმა (საქართველოს კომპარტიის) გამოიტანა დადგენილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, „ამხ. სტალინის თეზისების თანახმად დამოუკიდებელი რესპუბლიკების გაერთიანება ავტონომიზაციის ფორმით—ცნობილ იქნას ნაადრევად. სამეურნეო ღონისძიებათა და საერთო პოლიტიკის გაერთიანებას ვსთვლით აუცილებლად, მხოლოდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტების შენარჩუნებით“.

ამის შემდეგ იმავე ორგანოს მიუღია გადაწყვეტილება „აღიძრას შუამდგომლობა რ. კ. პ. ცეკას წინაშე, რათა საქართველო უშუალოდ შევიდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“. „იმ შემთხვევაში, თუ რ. კ. პ. ცეკამ დააკმაყოფილა საქართველოს კომპარტიის ცეკას შუამდგომლობა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში საქართველოს უშუალოდ შესვლის შესახებ, საკავშირო საბჭოს არსებობა საჭირო არ არისო“. მიუხედავათ ამისა, რ. კ. პ. ცეკამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ის უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს და განაგრძობს სოციალისტურ აღმშენებლობას და ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობის საქმის სამსახურს.

რას ფიქრობს ამ საკითხში დღეს ემიგრაცია, რას მოითხოვს ის საქართველოს დამოუკიდებლობის „ყველა ატრიბუტების შენარჩუნებას“, თუ რასმეს სხვას?

ამის პასუხს ისევ ნ. ჟორდანია იძლევა. **ის მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობას და ებრძვის იმავე დამოუკიდებლობას. ის მომხრეა ფედერაციის და იმავე დროს ებრძვის ა-კ. ფედერაციას.** სწორედ ეს უცნაური პოზიცია ამჟღავნებს სავსებით, რომ მებრძოლი მენშევიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ბატონობის დაბრუნება, დაკარგული ხელისუფლების რესტავრაცია და არა ქვეყნის რეალური ინტერესები.

რას მოითხოვს ქვეყნის რეალური ინტერესები? ვალაპარაკოთ ირ. წერეთელი:

**„ამიერ-კავკასიაში ჩვენ უცხო ტომის ხალხებით გარშემორტყმული ვართ. კავკასიის მთელი ისტორია იმის მაჩვენებელია, თუ რა გაუხსნელი კვანძი წინააღმდეგობისა იბადება ამ ერთა შორის, როდესაც თითოეული მათგანი ეროვნულ ეგოიზმის პოლიტიკას ანხორციელებს“.**

ჩვენი ერის ხსნას ის ხედავს ერთა სოლიდარობის პრინციპის განმტკიცებაში და დასძენს:

„ამ გზით სვლის ნაცვლად რომ პან (საქართველომ) „წმინდა“ ნაციონალური დროშაააფრიალოს და ამიერ-კავკასიაში მებრძოლ ნაციონალიზმს მესამე მიუმატოს— ეს ხომ კავკასიის ერთა განწყობილებაში საბედისწერო გართულების და გამწვავების ხანას დაამყარებს.

„მეორე მხრით—და ეს, **რამდენადაც მე მესმის, „წმინდა“ ეროვნული პოლიტიკის მთავარი მოთხოვნილებაა — ამ გზაზე შედგომა უნდა აღინიშნოს რუსეთის მთელი ხალხის წინააღმდეგ საქართველოს გაერთიანებული ფრონტის აღმართვითო“. (იხ. „ბრძოლა“ № 2).**

აქ მოცემულია ორი ხაზი, ერთი ის, რაც უნდა იყოს, ხოლო მეორე ის, რაც დღეს არის და რაც მენშევიკური ემიგრაციის სრულს გადაგვარებას მოასწავებს.

სად არის ნ. ჟორდანია, რას გვირჩევს ის? ის გვირჩევს **ა-კ. არსებული ფედერაცია დავარღვიოთ და იმავე რესპუბლიკების ახალი ფედერაცია შევქმნათ.**

მისი აზრით „არსებობს ყველა ელემენტები ფედერაციისა (ამიერ-კავკასიის) გეოგრაფიული, ტერიტორიალური, კულტურული“ (იხ. ნ. ჟორდანია „ბრძოლის საკითხები, გვ. 19).

„ამიერ-კავკასიის ტერიტორიალური მთლიანობა აუცილებლად ხდის მის ფედერატიულად მოწყობას. რა გზით, რა წესით? აი აქ გადამჭრელ როლს თამაშობს ერის კულტურული მდგომარეობა. ამ მხრით საყურადღებოა ერთი გარემოება: ყველა ადგილობრივი ხალხი დგას მიწის კერძო საკუთრების ნიადაგზე, ამით იქმნება საერთო სოციალური თვისება მათ შორის და განსხვავება რუსეთისაგან, სადაც მიწის სათემო მფლობელობა ბატონობდა-ო“. (იქვე გვ. 18) გამოდის, რომ სოციალიზმის დროს, როცა მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება არ იქნება, ფედერაცია, ერთა დაახლოვება და სოლიდარული თანამშრომლობა შეუძლებელი ყოფილა!

ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელსაც ნ. ჟორდანია გუშინ თავგამოდებით ებრძოდა, ყოფილა **„ერთადერით გზა ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისა და ევროპის ოჯახში შესვლისა“ (იქვე 21).**

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ამით ჩვენ ნ. ჟორდანია პირდაპირ გვეუბნება:

**მენშევიკური ფედერაცია კარგია, ბოლშევიკური კი არ ვარგაო.**

ამნაირად ნ. ჟორდანიამ ეროვნულ საკითხში უკვე განვლო გეგელის ტრიადით ნაგულისხმევი ყველა საფეხურები. ის იცავდა დიდხანს „ერთიანსა და განუყოფელ რუსეთს“, შემდეგ წამოაყენა განცალკევებისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგი, დღეს მოითხოვს ფედერაციას ჯერ მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფარგლებში. ამნაირად:

**ტეზისი**—ერთიანი და განუყოფელი რუსეთი.

**ანტი - ტეზისი** — განცალკევება და დამოუკიდებლობა.

**სინტეზი** — ფედერაცია.

ნ. ჟორდანიამ უღალატა საქართველოს დამოუკიდებლობას ამ სიტყვების ტრადიციული გაგებით და წამოაყენა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, იმავე დროს ებრძვის არსებულ ფედერაციას.

„არც იქით, არც აქეთ“—სწორედ ეს არის!...

**ლეო შენგელაია.**

# ჩვენი მრეწველობის ზრდა 27—28 წ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ საბჭოთა მეურნეობის მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს გეგმიანობა. იციან ისიც, რომ ეს გეგმიანობა უფრო ვრცლად არის გატარებული მრეწველობაში, ხოლო მეურნეობის სხვა დარგებში იგი თანდათან იკიდებს ფეხს.

კერძოთ საქართველოს მრეწველობაში ნამდვილი გეგმიანი მუშაობა დაიწყო 1925—26 სამეურნეო წელს, ხოლო სავსებით გატარებულ იქნა იგი 1926—27 წელს და ამ წელმა დაგვანახა, რომ ცდას ფუჭად არ ჩაუვლია.

ჩვენ ხელთა გვაქვს ჩვენი უმაღლესი სამეურნეო საბ-

ქოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობის მოქმედების წინასწარი ციფრები და ვხედავთ, რომ აქ გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით. ეს დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს იმ პირობებში, რომელშიც ჩვენს სამრეწველო ორგანოებს მოუხდათ ამ გეგმის გატარება. წინა წელთან შედარებით საგრძნობი მატებაა მიღწეული თითქმის ყველა დარგებში.

ამ წლის გამოცდილებაზედ არის აგებული შემდეგი 1927—28 წლის გეგმა და ეს გვინდა გავაცნოთ „ჩვენს მკითხველებსაც.

ს. მ. უ. ს. უშუალო გამგებლობაში ამჟამად იმყოფება **რვა ტრესტი.** ესენია: 1) საქართველოს აბრეშუმი, 2) ხე-ტყის მრეწველობისა, 3) სამთო მრეწველობისა (ამაში შედის ტყიბულის ქვა-ნახშირი), 4) ლითონისა, 5) თამბაქოსი, 6) საპონ-ზეთისა და საფეიქრო, 7) ტყავის და 8) პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტები.

ყველა ამ ტრესტების მთავარ საწარმოთა **საერთო პროდუქცია,** საქარხნო თვითღირებულებაში აღებული, სჭარბობს წინა წლისას 7.452.600 მან. და შეადგენს სულ 29.452.600 მან. წინა წელს კი შეადგენდა 21.999.600 მანეთს.

ეს მატება უდრის 33,8 პროც. და თითქმის ერთი ორად მეტია იმ ზრდაზე, რომელიც გათვალისწინებულია საკავშირო დირექტივებით და უდრის 17 პროც.

ეს აიხსნება მით, რომ ამ წელს ამუშავდება რამდენიმე ახალი საწარმო, მათ შორის ბარიტის საფქვავი ქარხანა ქუთაისში, კონსერვების ფაბრიკა გორში, აგურისა და კრამიტის ქარხანა და აბრეშუმის ძაფის სახვევი ფაბრიკები.

ასეთივე ტემპით იზრდება **ბაზარზე გამოსატანი საქონლის რაოდენობა და მისი გასაღება.** ამ საქონლის რაოდენობა შეადგენს (გასაყიდ ფასებში უაქციზოთ)— 30.244.400 მან. წინა წლისა კი უდრიდა 24.004.500 მან. ამრიგად მატება შეადგენს 6.939.900 მან. ანუ 26 პროც. გასაღებული საქონლის რაოდენობა კი შეადგენს, აქციზის მითვლით 40.086.600 მან. წინა წელს იყო 33.464.300 მან; მატება უდრის 26 პროც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საქონლის გასაღების** საქმეშიც დიდი წარმატებაა მოსალოდნელი. მიუხედავათ გასასაღებელ საქონლის საგრძნობი მატებისა, მისი ნაშთების ღირებულება წლის დამლევს შეადგენს თითქმის იმდენსავე, რამდენიც იყო წინა წელს **(4.743.000 მან.). ე. ი;** ამ წლის ნაშთი გასაღებულ საქონელთან შედარებით, შეადგენს 11 პროც. წინა წელს კი იგი უდრიდა 14 პროც.

**ნაწარმის თვითღირებულება** კლებულობს შედარებით წინა წელთან 5 ტრესტში, სტაბილურია ერთში (ლითონტრესტი) და მატულობს მხოლოდ ორ ტრესტში, რაც გამოწვეულია ნედლი მასალის გაძვირებით. (პარკი და ბამბის თესლი).

თვითღირებულების დაკლება უდრის 2—18 პროც.; მატება კი გვაქვს მხოლოდ 4 მთავარ ნაწარმზე და შეადგენს 4 პროც.-დან 12 პროც.-მდე.

**გასაყიდი ფასებიც** საგრძნობლად კლებულობს და პროცენტებში გამოხატული იძლევა შემცირებას 3,5—27 პროც.-მდი.

აქ მატებას არსად არა აქვს ადგილი.

**მუშების რიცხვი** მატულობს 12 პროც. და იქნება 7886 ნაცვლად წინა წლის 7.000-სა.

ეს ახალი საწარმოთა ამუშავების შედეგია.

**მუშის საშუალო თვიური ხელფასი** მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში ასეთ სურათს გვაძლევს (ჩერვონნულ მანეთებში).

| **ტრესტები.** | 1926—27 წ. | 1927—28 წ. | მატება % |
|---|---|---|---|
| სამთო მრეწველობისა | 38 მ. 83 კ. | 40 მ. 44 კ. | 4,1 % |
| ლითონისა | 67 მ. 39 კ. | 70 მ. 00 კ. | 3,9%. |
| აბრეშუმის | 27 მ. 30 კ. | 29 მ. 50 კ. | 8,0%. |
| ტყავისა | 76 მ. 27 კ. | 81 მ. 34 კ. | 6,6%. |
| ხე-ტყისა | 54 მ. 20 კ. | 61 მ. 00 კ. | 12,5% |
| თამბაქოს | 54 მ. 85 კ. | 59 მ. 38 კ. | 8,2%. |
| პოლიგრაფიული (სტამბები) | 75 მ. 30 კ. | 79 მ. 00 კ. | 4,9%. |
| საპ.-ზეთ. და სეფეიქრო | 51 მ. 00 კ. | 52 მ. 10 კ. | 2,0%. |

საშუალო წლიური მატება კი შეადგენს 6,3 პროც. ხოლო წლის დამლევისათვის — 6,6 პროც.

ხელფასის მატება ამით არ ამოიწურება. იმავე სადირექტივო ნორმების მიხედვით გათვალისწინებულია ფართო მოხმარების საგნების საერთო გაიაფება 6 პროც.-ით, რაც მუშის ბიუჯეტში შეიტანს ხარჯების საგრძნობ შემცირებას. არა ნაკლებ 5--6 პროც.-ისა. ამრიგათ, საერთო მატება ხელფასისა შეადგენს 12 პროც.

შრომის ნაყოფიერებაც მატულობს 6 პროც-დან 51 პროც.-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშა ხელფასის მომატებას აანაზღაურებს სავსებით და კიდევ მეტს მოგებას მისცემს წარმოებას. ეს იქნება შედეგი უმთავრესად წარმოებაში რაციონალიზაციისა და მექანიზაციის გატარებისა.

ასეთია ახლად დაწყებული საოპერაციო წლის პერსპექტივები ჩვენი მრეწველობის გეგმით.

ამავე გეგმაში გათვალისწინებულია კაპიტალური ხარჯები. როგორც ახალ ფაბრიკა - ქარხნების ასაგებად, აგრეთვე არსებულის გადასახალისებლად და გასაუმჯობესებლად.

ამისთვის საჭირო თანხა შეადგენს 11.750.000 მან. ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. შესაძლებელი იქნება თუ არა მთელი ამ გეგმის საჭსებით განხორციელება.

**ნ. ელიავა.**

# ორი სამკუთხედი და ჩინეთი

**4.**

„იქ სძინავს ბუმბერაზს. აცალეთ ძილი, თორემ თუ გამოიღვიძა და ამოძრავდა მთელ ქვეყნიერებას შეაქანებს“. ეს სიტყვები ეკუთვნის ნაპოლეონ პირველს და წარმოთქმულია ჩინეთზე.

ჩვენ მოწმენი ვართ უდიდესი ისტორიული მომენტის, რომელიც არა მარტო ჩინეთის ფარგლების მნიშვნელობისაა, არამედ მთლიან საერთაშორისო დამოკიდებულებებს სრულიად თავისებურ ბეჭედს ასვამს. აქ თავისთავად ისმება კითხვა: უკვე გამოიღვიძა ჩინეთმა, თუ ის, რაც ამჟამად ჩინეთში ხდება, მხოლოდ ძილში გამოძახილი ხმაა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემათ საჭიროა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ფაქტებისა, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩინეთის დღევანდელ მდგომარეობასთან და იმ ტალღათა სრბოლასთან, რომელიც ესეცაა წალეკვას უქადის იმპერიალისტურ სახელმწიფოების მტაცებლურ პოლიტიკას და მაზე აშენებულ დამოკიდებულებებს.

წინა წერილებში ჩვენ გზადაგზა აღვნიშნეთ სხვადასხვა სახელმწიფოების თარეში ჩინეთში, განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკა და იაპონიის განზრახვები. ჩვენ ხაზი გავუსვით აგრეთვე შეერთებული შტატების ინტერესებსაც, მთელ პაციფიკის პრობლემაც მთელი სიგრძე სიგანით ჩინეთს ებჯინება. ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, თითქოს იმპერიალისტურ ქვეყნებს დიდ ოკეანეში სხვა თავსამტვრევი საკითხები არ ქონდეს. პირიქით, ასეთი საკითხები ერთობ ბევრია, როგორც კუნძულების წყებათა კოლონიებათ შენარჩუნება, განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკისათვის ინდოეთის ოკეანის სანაპიროების „დაცვა ავი გავლენისაგან“ და სხვ.

შეერთებული შტატების მოქმედება ჩინეთში ხასიათდებოდა დასავლეთის მტაცებლებთან შედარებით უფრო ლიბერალური პოლიტიკით. ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, იანკეს კაპიტალი ეყრდნობოდა რა წმინდა მატერიალურ სიძლიერეს და უწევდა რა ანგარიშს შედარებით მსოფლიო ასპარეზზე გვიან გამოსვლისაგან გამოწვეულ დაკარგულ უპირატესობებს, ცდილობდა „შეღავათიანი“ მოქმედებით ჩინეთის გული მოეგო. ამ შეხედულებას ამტკიცებს მთელი რიგი ფაქტებისა. მაშინ, როდესაც ყველა დაინტერესებულმა მხარეებმა და პირველ ყოვლისა, ინგლისმა, ბოქსერების აჯანყების გამო დადებული კონტრიბუცია ჩინეთს უკლებლივ გადაახდევინა, შეერთებულმა შტატებმა 1908 წელ'ძი დარჩენილი 10 მილიონი მექსიკანური დოლარი ჩინეთს აპატივა იმ პირობით, რომ ამ თანხის უმთავრესი ნაწილი ახალგაზრდობას მოხმარდებოდა შეერთებულ შტატებში სწავლის მისაღებათ. ამას გარდა, არასოდეს შეერთებულ შტატებს არ მოუთხოვია და არც დაუკავებია ჩინეთის ტერიტორიის არც ერთი ნაწილი. შეერთებული შტატები მოითხოვდა ე. წ. ღია კარებს. ეს მოთხოვნილება წამოყენებულ იქნა კიდევ 1898 წელს სტატს-სეკრეტარ ჰაის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოებისადმი დაგზავნილ მემორანდუმით.

დასავლეთის სახელმწიფოებმა ფორმალურათ შეერთებული შტატების მოთხოვნილებას მხარი დაუჭირეს, მაგრამ სინამდვილეში, რასაკვირველია, ინგლისის მეთაურობით, ყოველგან და ყოველთვის ცდილობდენ საკუთარი მონოპოლია დაეცვათ. ცხადია, შეერთებული შტატები ამ, მდგომარეობას ხედავდა, მაგრამ სხვა გამოსავლის უქონლობის გამო, იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო და ეწარმოებია შედარებით უფრო „შეღავათიანი“ პოლიტიკა, რასაც ბოლოს და ბოლოს ინგლისის მეთაურობით მოსაქმე სახელმწიფოთა კონცერნმაც წაბაძა. ცხადია, აქ ჩინეთისადმი სიყვარული არავის არ ამოძრავებდა, ისიც აშკარაა, რომ პოლიტიკის გალიბერალება ჩინეთის შინაური ძალების თანდათანი გაძლიერებით აიხსნებოდა, ვინაიდან მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით იზრდებოდა ახალი მოძრაობა, რომელიც პირველ ყოვლისა, ხმალს უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ ლესავდა.

ჩინეთის საზოგადოებრივობის აღორძინებას აშკარა და გარკვეული სახე ბოქსერების აჯანყებას შემდეგ ეძლევა. პირველი, ასე ვსთქვათ, ლეგიტიმური ნათლისღებას ორგანიზაციული საზოგადოებრივი აზროვნება ღებულობს 1901 წელში. ეს ის წელია, როდესაც დ-რ სუნიატსენმა იაპონიაში ყოფნის დროს დაარსა საზოგადოება ტუნგ-მანგ-ჰუი-ს სახელწოდებით.

ეს ახალი საზოგადოება პირველი მერცხალი იყო იმ ახალი ცხოვრებისა, ახალი ხანის დასაწყისისა, რომელიც ყველა ხალხთა ისტორიაში ორგანიზაციულათ მოწყობილი პარტიული სისტემით აღინიშნება. ახალი პარტია რესპუბლიკანური იყო. ის 1911 წლის რევოლიუციის შემდეგ უფრო გაფართოვდა და გადახალისდა გომინდანი-ის სახელწოდებით რადიკალურ პარტიათ. პირველად ამ პარტიას წმინდა ინტელიგენტური ელფერი ქონდა. მის უმთავრეს ძალას სტუდენტობა წარმოადგენდა. შემდეგ წლების განვითარებამ ამ პარტიის გარშემო თავი მოუყარა მუშათა კლასსაც და სულ მოკლე ხანში ის მასიურ პარტიათ გადაიქცა.

ეს პარტია საერთო ისტორიის მსვლელობასთან ერთად თანდათან ვითარდებოდა. ამ მხრივ უკანასკნელი სამი ათეული წელიწადი უაღრესად მდიდარია პროგრესიული მომენტებით. ის, რაც ხშირად ასი წლის ისტორიას არ მოუტანია ჩინეთისათვის წლების განმავლობაში ფაქტი ხდებოდა. ხალხს თანდათან ემჩნეოდა გამოცოცხლება და პოლიტიკური განვითარებაც მდევის ნაბიჯებით წინ მიდიოდა. 1911 წლის რევოლიუციამ ცენტრალურ მმართველობას სრულებით ბოლო მოუღო და პროვინციებს გადამჭრელი ძალაუფლება მიანიჭა. აქ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ცალ-ცალკე მხარეების სამხედრო მბრძანებლები, რომელთაც ადგილობრივი ჯარი ყავდა და ერთი მეორეს ემეტოქეობოდა. ამ გარემოებამ სრულებით დაუკარგა ძალა და გავლენა ცენტრალურ ხელისუფლებას.

იმპერიალისტური მტაცებლებისთვის ასეთი მდგომარეობა მეტის-მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა. ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ცდილობდა ესა თუ ის მთავარსარდალი თავის გავლენის ქვეშ მოექცია და ამ გზით საკუთარი პოლიტიკის მატარებლათ გამოეყენებია. ცხადია, იმპერიალისტური მიდრეკილებისათვის ახლად აღორძინებული რადიკალური პარტია, რომლის დედაძარღვს ერის ემანსიპაცია შეადგენდა, გამოსადეგი ვერ იქნებოდა. ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოთა სიმპატია, დროს და გარემოების მიხედვით ამა თუ იმ ღერენალისაკენ იხრებოდა, ვინაიდან ყოველთვის დაყოფისა და შემდეგ ბატონობის პოლიტიკა დასავლეთის კაპიტალის აგრესივობის მთავარ ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენდა.

1917 წელში ხდება მეტის-მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩინეთი ორ მთავარ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთი და სამხრეთი. აქ უკვე აშკარად იკვეთება მომავალი წლების პოლიტიკის ძირითადი ნიშნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამხრეთის მთავრობა ერთობ რადიკალურია და გომინდანის გავლენას გვერდს ვერ უვლის. შემდეგ ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლების ცენტრს წარმოადგენს კანტონი, რომელიც ინდუსტრიალური ცენტრია და პარტიის ფუძესა და ბურჯს შეადგენს.

მაშინ. როდესაც ჩრდილოეთის ღენერლები მიღებულ ოქროს რაოდენობის მიხედვით ფარხმალს თავისივე მოძმეთა წინააღმდეგ იღებდენ. კანტონის ხელისუფლება ასეთ უარყოფით ნაბიჯებისაგან შორსა სდგას და თანდათანობით აწარმოებს თავისი ქვეყნის აღმშენებლობისა და აღორძინების პოლიტიკას, რის უძლიერეს ბერკეტად ხდება ოქტომბრის რევოლიუცია.

იპ. ნარსია.

# ქალი ოქტომბრის დროშის ქვეშ

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც დაანგრია ბურჟუაზიული ურთი-ერთობა, და ამაზე აშენებული სოციალ - პოლიტიკური პრივილეგიები, რომელმაც მოსპო ნაციონალური ჩაგვრა და წვრილ ერებს მისცა ეროვნული განვითარების თავისუფალი გზები, გაანთავისუფლა ქალიც ძველ მონურ მდგომარეობიდან და მამაკაცთან ერთად გაუხსნა სარბიელი აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისთვის.

„ქალი ადამიანი ისეთივე უფლებითაა აღჭურვილი კანონის წინაშე, როგორც მამაკაცი, ის არ არის მონა“,— სთქვა ოქტომბერმა და აფრიალა წითელი დროშა მშრომელთა, რომლის ქვეშ შესაფერი ადგილი ქალსაც მიუჩინა. არსად მთელ მსოფლიოში არ არის ისეთი მხარე, სადაც ქალი იყოს ცნობილი ადამიანად ისე, როგორც ეს არის საბჭოთა კავშირში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ყოველდღიურად იზრდება რევოლიუციის დამცველ მებრძოლ ქალთა რიცხვი, და მათი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს შენებაში. ის თანდათან თავისუფალი და დამოუკიდებელი ხდება ეკონომიურად მამაკაცისაგან და თითონ იღებს ხელში საკუთარი და საზოგადოებრივი ცხოვრების საქმეს. საბჭოთა კავშირში, ქალი იურიდიულად და პოლიტიკურად მამაკაცთან არის გათანასწორებული საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ამხ. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალთა საკითხს, მათ ყოფა-ცხოვრებას და სიაქტივეს და

დიდ როლს აკუთვნებდა მომავალი სოციალისტური საზოგადოების შექმნაში. ის ამბობდა: „იმისთვის, რომ მასამ მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში. აუცილებელია ქალის აქტიური დახმარება და მუშაობაში მისი ჩაბმაო“. ამგვარად ძველი დაკნინებული სული დედაკაცისა თავისი წვრილმანებით, შურიანობით და სხვა უარყოფითი მხარეებით მოისპო. ქალი თვით გახდა თავის მრჩენელი. ეს მოხდა ამ 10 წლის განმავლობაში, რომელიც დიადი და შეუდარებელია კაცობრიობის ისტორიაში. უცხოეთის ქალები რევოლიუციონური დროშის ქვეშ მხნედ იბრძვიან იმ უფლებების მოსაპოებლად, რაც ჩვენ მოგვანიჭა ოქტომბერმა და საბჭოთა კავშირის თავისუფალი ქალი მასთან ერთად არის ამ ბრძოლაში.

ყველა ეს მოიტანა ოქტომბერმა, მან შექმნა „ახალი ქალი“—მოქალაქე და საზოგადოებრივი მუშაკი; ქალი მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით იქნა ცნობილი. დღეს თვითეული ჩვენგანი უნდა ცდილობდეს, თავის თავის აღზრდას. არის ძველი ტრადიციების მიერ შექმნილი მრავალი დაბრკოლებანი, რომლებიც უნდა იქნას გადალახული.

დღეს არა მარტო პროლეტარი მუშა ქალი იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ უბრალო გლეხის ქალიც. მან უკვე მიატოვა „ბედის“ ლოდინი, ისეც აქტიური მოქალაქე გახდა, ისიც სწავლას იძენს, ვითარდება, რათა მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას.

ამგვარად დაიმსახვრა ის საუკუნოებრივი ბორკილი, რომელიც ხელს უშლიდა ქალის ყოველგვარ წინმსვლელობას და ადამიანად გახდომას. გადაიარა დიდმა ოქტომბრის გრიგალმა მთელ მსოფლიოზე. მან შეაშფოთა ძველი ქვეყანა. და მისი დროშის ქვეშ ჰპოვა ქალმა ლხენა, ადამიანური პატივი და ღირსება.

მაშ, მედგრად, დებო, მომავლისაკენ გაიწმინდეთ სული ოქტომბრის მონაბერით. სრული გამარჯვების მისაღწევად საჭიროა შენივე რაობის შეგნება. გახსოვდეს, რომ შენ მეტი წილი გაქვს მომავალი მებრძოლის აღზრდაში:.

„ვით რძე ტკბილად შიაწოვე  
შენს უბეში აღზრდილ შვილებს,  
რომ თავისად იგულებდეს  
სხვათა ტანჯვებს და ტკივილებს...  
რომ შეეძლოს ღირსეულ ქალს  
იამაყო გმირი შვილით—  
და მსოფლიო სალარო - კარს  
რომ შენც მისდგე სპეტაკ წვლილით“...

გოგუცა გვაზავა.

# ათი წელი

ათი წელი, რომელმაც შეძრა ქვეყანა....

ათი ტალღა, რომელმაც შეარყია დედამიწა და მის მეექვსედზედ მშრომელთა ძალაუფლება დაამყარა.

ოქტომბრის დღესასწაული არ არის ათი წლის დღესასწაული.

ოქტომბრის დღესასწაული არის ათი საუკუნის დღესასწაული.

ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილ სიდიადეში ყოველი წელიწადი აყვანილია საუკუნეში.

ვერც ერთ განვლილი საუკუნე, რომელიც კი ახსოვს ისტორიას. თავისი გაქანებითა და სიღრმით ვერ შეედრება რუსეთის ბრწყინვალე რევოლიუციის ვერც ერთ წელიწადს.

ოქტომბრის რევოლიუციის გენიამ 1917 წლის 25 ოქტომბრის პირველი ტალღა სტყორცნა ჩაგვრის და ტანჯვის ქვეყანას. ვერ გაუძლო პირველ ტალღას ისტორიის მიერ განწირულმა თვითმპყრობელობამ, რომლის ხელოვნურ შეკოწიწებას და ფესვების მომაგრებას ცდილობდნენ დიადი საქმისთვის უნიჭო პარტიები, უფრო მეტად უნიჭო და უბადრუკ ერთობ პატარა კაცი კერენსკის საშუალებით. ორი-სამი ტალღის შემდეგ თვითმპყრობელობა ჩასძირა რევოლიუციის მორევმა და სამუდამოთ თან ჩაიტანეს დაბერებულ ორთავიან არწივის სამეფოს აღდგენის უნიადაგო იმედიც.

მას შემდეგ ათი ტალღაა აბობოქრებულ რევოლიუციისა გატყორცნილი. ბევრი ხავსი და ნაგავი წაილეკა ამ დროს განმავლობაში, მაგრამ. თუ ჯერ კიდევ არის რამდენიმეთ დარჩენილი, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ იმდენი სიბინძურე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი, რომ უდიდესი რევოლიუციის ტალღებმა ათი წლის განმავლობაში ვერ შესძლო იმის სავსებით გადარეცხვა.

მრავალი პოლიტიკური დაჯგუფებანი, და პარტიები მოყვნენ ქვეშ ოქტომბრის რევოლიუციის ტალღებს, მრავალ ათასების სისხლით და ძვლებით არის მოკირწყლული ოქტომბრის რევოლიუციის გზა, მაგრამ ოქტომბრის რევოლიუცია ასეთი დაბრკოლების შემდეგ უფრო ძლიერი, მედგარი, ახალი სიძლიერით ამაყად მიჰქროლავდა წინ ისტორიულ მოწოდებისაკენ.

ოქტომბრის რევოლიუციის ათმა ტალღამ შეუბრალებლად დასცა ძირს ყველაფერი ის, რაც მეტი ბარგი იყო მშრომელთათვის და მის განვითარებას წინ ეღობებოდა. მაგრამ. ამავე დროს, განადგურების ალაგას რევოლიუციის ზღვის ტალღას მოჰქონდა ახალი მასალა ახალი ძალა და აშენებდა სრულიად ახალ, არნახულ ქვეყანას—შრომის და თავისუფლების სამეფოს.

ვისაც თვალნი ხედვათ აქვს და ყურნი სმენად, უნდა ჰხვდნენ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის ჰონაცემი არის შედეგი მისი მსვლელობის სწორი გეზის და მის ხელმძღვანელობის მშრომელთადმი უანგარო და თავდადებულ სიყვარულისა.

სად არის კვალი იმპერიალისტურ ომის მიერ გაპარტახების და განადგურებისა?

სად არის კვალი სამოქალაქო ომების დროის წვის, აწიოკების და აოხრებისა?

სად არის კვალი მოუსავლობით განცდილი სიმშილისა?

დიახ, აღარ არიან ისინი, რადგან მათი კვალი ათმა რევოლიუციონურმა ტალღამ გადარეცხა დედამიწის პირიდან და მათ ადგილას აღმართა გიგანტიური ჰიდროელსადგურები, ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი ფაბრიკა-ქარხნები და მოუსავლიანი ადგილები კი მორწყო და დაიხნა ტრაქტორებით.

ხდება სასწაული. ხდება განსაცვიფრებელი ამბები. ევროპას არა სჯერა განაგონი ამბები. და ათასობით მოილტვიან ჩვენსკენ ფარული და აშკარა, მტრული და მოყვარული დელეგაციები, რათა საკუთარი თვალით ნახონ სასწაული და უკან დაბრუნებულმა მეგობრებმა გადასძახონ ევროპის პროლეტარიატს, ყოველ რევოლიუციონერის და აწ ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განწირულის სიტყვები, რომლებიც, დღეს უფრო მეტის გამართლებით შეიძლება ვიხმაროთ, ვინემ 24 წლის წინათ. როცა პირველათ წამოითქვა: „სისხლი, რომელსაც ღვრის რუსეთის პროლეტარიატი უდიდესი რევოლიუციის დასაწყისში, იღვრება რუსეთისა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატის განთავისუფლების მიზნით“.

ზ. ჯაფარიძე

# კლასი აღმავალი

ჯერ კიდევ მწუხრზე,
როცა ჩაჰქრა ყოველი კვალი,
ღამე რომ შუბზე
გადმოდგა და დაალო თვალი,
ტყისა თაღები
ჩვენმა მღერამ შეახმიანა!.
გულის წამლები
იყო თმენა!.. მან გვაგვიანა..,
მაგრამ იმედი
ჯულში ერთხელაც არ გაწყვეტილა
და აჰა, ქედი,
კვლავ მრთელი, და თან—შვების დი:

—:—

ეი, მეეტლევ!
გარეკე ეს რუხვი ცხენები,
და, თუ კი შესძლებ,
მზეო, ამოდი! ამოდი!..
(ხალხური)
გვაქროლე წინ შეუსვენებლივ..
დაჰკათ ნიადაგს
თქვენ, ცხენებო, რკინის ნალები,
წინსვლის ლიანდაგს
რომ ანთიბდენ თქვენი თვალები
და გაგვიტაცეთ
წინ, ვით მეხი, ცეცხლის ბრძანება!..
გზას არსად ასცდეთ!
არ იქნება გადაგანება!
მზის მაყრები ვართ
და ღამეს კი, ზურგის ჩვენებით,
ავმხედრებივართ:
შვების დღისკენ მივქრით ქენებით!..

**ნ. ზომლეთელი.**

# დისციპლინა

## (მარქსისტის დღიურიდან)

ეს იყო უახლოეს წარსულში...

ორთავიანი არწივი სისხლიან ნისკარტით ჯიჯგნიდა მუშათა კლასის განაწამებ სხეულს...

სევდა-ვაებით იყო დატვირთული კოშმიური ყოფა...

მრავალ მილიონიანი ხალხი რკინის უღელ ქვეშ გმინავდა...—ვინ იქნება ჩვენი მშველელი?—ოხრავდა წითელკანიანი აღმოსავლეთი...

შამპანიურში ბანაობდა ევროპის ბურჟუაზია...

კარტის თამაში, ლოთობა და პარიზის გარყვნილება.

— რაც შეიძლება მეტი სისხლი შევსვათ მშრომელი ხალხის!—აი მათი დღიური ლოზუნგი...

სწორედ იმ ხანებში მოხდა ჩემი ფიზიკური დავაჟკაცება...

თავიდანვე ავილესე მჩაგვრელთა წინააღმდეგ...

ამას მიკარნახებდა ის წრე და ის ღარიბი გლეხის ოჯახი, რომლის წიაღიდანაც მე გამოვედი...

მთელი ჩემი სიცოცხლე მუშათა კლასის საკეთილდღეოთ!—იყო ურყევი გადაწყვეტილება...

აღსრულდა...

აზიის ნახევრად მიძინებულმა ხალხმა გამოიღვიძა. მისმა ორგანიზმმა ველარ აიტანა საუკუნოებრივი ჯვარცმა და...

მსოფლიოს მეექვსედზე რევოლიუციის ცეცხლი დაინთო.

აქედან იწყება ჩემი პირველი და უდიდესი დანაშაული...

ცხოვრების დარჩენილ დღეებს და წლებს ერთი წუთითაც არ დაავიწყდება ეს უაღრესი საბედისწერო შეცდომა...

თქვენ იცით დიდი ოქტომბერი?..

თქვენ იცით მისი სხივების სიძლიერე, რომელიც ახარებს და ახალისებს აღმოსავლეთის მრავალტანჯულ ხალხს?..

მე ამ ოქტომბერის წინააღმდეგ წავედი.

სამძიმოა ამისი გახსენება...

მაგრამ...

ფაქტები?

ვგრძნობდი შეცდომას, მტანჯავდა სინდისი და მეშინოდა წითელი ოქტომბრის...

ჩემი სული აღარ ეტეოდა პატარა ოთახში, პარტიული ამხანაგების უკანონო მოქცევანი სისხლს მიმღვრევდა, მინდოდა გავარდნილიყავ ქუჩაზე და მეყვირა ჩვენ მოღალატეობაზე...

მაგრამ...

დისციპლინა?..

დისციპლინა აფრიკანული გველივით მეხვევოდა კისერზე და შეუბრალებლად მახრჩობდა...

1921 წლის თებერვალი...

საქართველოს დედა ქალაქში აფრიალდა ოქტომბრის დროშა...

ბათომისაკენ, ბათომისაკენ!..

ყველას ხოცავენ!..

ასი ვაგონი მარტო ქალების ძუძუები ეყრება ქუჩაში...

ჩემ წინ დახვრიტეს ამხ. № და მისი წვრილი ცოლშვილი, ამბობდენ „მნახველები“...

სისინებდენ გაზეთები...

მე ისევ გაურბოდი ოქტომბერს.

ბათომი...

სუსხიანი დღე...

მინისტრები გასაქცევათ ემზადებაინ...

ვიზები ყველას მზათ აქვს...

— შენ არ მოდიხარ? მეკითხება ერთი.

— არ ვიცი!..

და...

ჯანყიან საღამოს ტფილისისკენ გამოვიპარე...

რაც მომივა, მომივა!—იყო ჩემი ურყევი გადაწყვეტილება...

ტფილისი...

მზიანი დღე...

სასახლეზე წითელი დროშა...

მუშების მომღიმარი სახე...

და...

გაათკეცებული შემოქმედება...

სად არის „სინამდვილე“, რომელსაც ბათომში ამბობდნენ?..

მომაგონდა:

— ამბების მთქმელნი ხომ დისციპლინით ლაპარაკობდნენ?..

ოხ, ეს დისციპლინა, დისციპლინა...

განვლო დრომ...

დისციპლინამ მეორე უპატიებელი შეცდომა ჩამადენია...

კვლავ დავიწყე ოქტომბრის წინააღმდეგ გალაშქრება...

და...

26 მაისს მწვანე ბაზარში ვაჭრების გამოსვლები მოვაწყვე...

ერთ სტუდენტს გლეხის ტანისამოსი გადავაცვით და ეროვნული დროშა ავაწევიეთ...

დამატუსაღეს...

— არა გრცხვენია, ვაჭრებში აწყობდი „რევოლიუციას“?—მითხრა საგანგებო კომისიაში ვიქტორ ცინცაძემ...

ამ სიტყვებმა საშინელი დანაშაული მაგრძნობინეს...

მართლა და ვის ვებრძვი ან რა მინდა?..

სად ვაწყობდი გამოსვლებს და ვის წინააღმდეგ?..

მეტეხის კედლები კითხვითი ნიშნებით გადამექცენ...

ექვსი თვე ვიყავი „ქრისტიანული“ სოციალიზმის მოძღვრებთან...

იქ იყვნენ მაშინ ყველა „ჩვენი“ ლიდერები...

საშინელი იყო სინამდვილე და სინდისის ქენჯნა...

ნუ თუ ეს ხალხი განაგებდა საქართველოს ბედ-იღბალს? ხშირად ვეკითხებოდი თავს...

ბევრი იყო ჩემი ბედის მონაწევრე...

ზოგიერთების განზე დგომა და მუდმივი ფიქრიანი სახე მათ ტრაგიკულ სულისკვეთებას ადასტურებდა.

— ვიღრჩობი, ვიღრჩობი ამ ქაოსში!—გამომიტყდა ერთი ამხანაგი...

გავიდეთ აქედან, მივხედოთ მასსას, ვინც ჩვენ დაგვიზარდა, ვის მწარე ცრემლშიც ჩვენ დავვაჟკაცდით!..

მერე დისციპლინა?...

ოხ, ისევ ეს დისციპლინა, ისევ რკინის სალტეები...

ოქტომბრის მანიფესტმა გამანთავისუფლა...

საქართველოს პროლეტარიატი წითელ რესპუბლიკას შეჰხარის...

— რატომ დაგიჭირეს, შვილო. შენ ხომ პატარაობიდან სულ სოციალისტი იყავი, ნუ თუ უღალატე რწმენას?—მეკითხება ოთხმოცი წლის მოხუცი მამა...

პასუხს ვერ ვაძლევ...

მამის სამართლიანი საყვედური უფრო მაღელვებს...

ჯერ ისევ პარტიის ცეკას წევრი ვარ..

დისციპლინა თავიდან არ მშორდება...

მაგრამ...

რუბიკონი გადაილახა და...

გაზეთში დაიბეჭდა ჩემი „ღალატის“ პირველი წერილი...

ვუღალატე დისციპლინას და მივატოვე ძველი ღმერთები...

თავისუფლად ამოვისუნთქე...

„ამხანგები“ მოღალატეს მეძახდნენ...

გოლოვინის პროსპექტის ხალხი ხმას აღარ მცემდა...

რა ბედნიერი იყო ის წუთები!..

დამიჯერებენ?..

იქნება იმათაც მოღალატე დამიძახონ და არ მიმიღონ?..

მაშინ რაღა დამრჩენია?..

ეჭვები არ გამართლდა...

მუშებმა სიხარულით მიმიღეს.

დავიწყებას მიეცა წარსული შეცდომები...

და...

რაიკომის მდივანმა სადელეგატო კრებაზე განაცხადა:

— პარტიაში მიღებას ითხოვს ამხ. შალვა გომართელი, ვინ არის წინააღმდეგი?..

გულმა გაათკეცებული სიჩქარით დაიწყო ძაგა-ძუგი.

არავინ!...

ვინ არის მომხრე?..

ყველა...

ერთხმად ვარ მიღებული კომპარტიის წევრად...

და...

კრებიდან სახლში მისვლა არ გამიგია...

შალვა გომართელი.

# ძველი და ახალი სკოლა

ყველა ეპოქას ახასიათებს განსაკუთრებული მსოფლმხედველობა და ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს მიზანი და სისტემა აღზრდისა. რაც გაბატონებულია ცხოვრებაში და საზოგადოებაში, იგივე გაბატონებულია სკოლაში.

ამიტომ მეფის რუსეთში ძველი სკოლა ისახავდა მიზნად გაერწვთნა მოწაფე ისე, რომ მისგან თავისუფალი მოქალაქე კი არა, არამედ **ქვეშევრდომი** გამოსულიყო. სკოლის პროგრამა, სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები და მთელი აღზრდის სისტემა გაჟღენთილი იყო მონობის სულით.

ძველ სკოლაში ისეთი ატმოსფერა იყო შემქნილი, რომ მოწაფე სკოლას გაურბოდა, სკოლა მოწაფეს არ იზიდავდა. სკოლის „დისციპლინა“ მარტო შიშზე იყო დამყარებული. ძველმა სკოლამ აღმართა გარდაუვალი კედელი მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის; ესენი ორ მოპირდაპირე მებრძოლ ბანაკს ეკუთვნოდენ. სკოლა ყოველ მხრივ ამახინჯებდა მოზარდ თაობას. ბავშვებს სკოლაში მოსპობილი ჰქონდათ თავისუფალი განვითარების საშუალება. ახალგაზრდობა სკოლაში მორალურად გახრწნის გზას ადგა, მას არ ჰქონდა არავითარი ცოდნის დამაკმაყოფილებელი წყარო. მაშინდელი სკოლა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოწაფის გულში ჩაეხრჩო თავისუფლებისა და განათლებისადმი მისწრაფების სურვილი: ბავში იძულებული იყო თავისივე თავში დაეხშო და ჩაეკლა თვითმოქმედებისა და ინიციატივის უნარი. ამგვარ პირობებში აღზრდილი, იგი ევლინებოდა საზოგადოებას ყოველივე შემოქმედების ნატამალ მოკლებულ ადამიანად. ძველი სკოლა კარჩაკეტილი იყო, ცოცხალ ცხოვრებას მოწყვეტილი და ფეოდალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგით გაჟღენთილი. წინანდელი სკოლიდან გამოდიოდნენ ინდივიდუალისტურად განწყობილი და პრაქტიკულ ცხოვრებსათვის სრულიად მოუმზადებელი მოხელენი.

გიმნაზიებში და უნივერსიტეტში სწავლობდა მხოლოდ მდიდარი. განათლების მიღების საშუალება მხოლოდ მდიდრების შვილებს ჰქონდათ მინიჭებული, იმათ ეძლეოდათ ყოველგვარი უპირატესობა. ამნაირად მდიდრებისათვის განათლების მონოპოლია იყო დაწესებული. მშრომელი ხალხისათვის საშუალო და უმაღლესი სკოლის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი, იგი მათთვის მიუწდომელი ხილი იყო. მდაბიო ხალხს დაბალ სკოლებს უმართავდენ. „კუხარკების შვილებს“ გიმნაზიაში სწავლის ნება არა ქონდათ.

ძველი სკოლა კერძოდ საქართველოში გარუსებას, გადაგვარებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე განათლების საქმეს. ქართული ენა საშუალო სკოლაში ქართველ მოსწავლეთათვის არა სავალდებულო საგანს წარმოადგენდა. ეს ენა მარტო დაბალ კლასებში იყო შემოღებული და ისიც კვირაში ერთი ან ორი გაკვეთილი ჰქონდათ დათმობილი. გაკვეთილების ცხრილში განგებ ბოლოში იყო მოქცეული. ძველ სკოლას მიზნად დასახული ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურული განადგურება, მისი ენის შელახვა და ხალხის რუსიფიკაცია.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო მეფის რუსეთთან ერთად ძველი სკოლის დანგრევაც და მის ნანგრევებზე დღეს ის ახალ სკოლას აშენებს.

მეცნიერების ტაძარი, სკოლა მშრომელი ხალხისათვის მიუწდომელი ხილი იყო და სწავლა ცოდნის საქმისა და ხალხს შუა გარდაუვალი კედელი იყო აღმართული. ეს კედელი პირველად კაცობრიობის ცხოვრებაში ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ შეანგრია. მხოლოდ ამის შემდეგ, როცა სახელმწიფო ძალაუფლება თვით მუშებმა აიღეს ხელში, გახდა შესაძლებელი, რომ სწავლა-განათლების საქმე სავსებით მუშებისა და გლეხების ხელში გადასულიყო და თვითმშრომელ ხალხს ეზრუნა ამაზე.

საბჭოთა სისტემის უდიდესი ღირებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ეროვნულ კულტურულ წარმატებისათვის უძვირფასეს პირობებს ქმნის. სწავლის სფეროშიაც შეიჭრა წითელი რევოლიუციის ქარიშხალი და საბოლოოდ დაასამარა აღზრდის ძველი პრინციპები. საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად ახალ ნიადაგზე და პრინციპებზე დააყენა სახალხო განათლების საქმე. ეხლა

განათლება მდიდრების მონოპოლია აღარ არის, ის გახდა ყველასათვის ხელმისაწდომი. დღეს ყველა ტიპის სკოლებში მუშებისა და გლეხების შვილები დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართედ გაუღო უმაღლესი სასწავლებლის კარები მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას.

ახალმა სკოლამ დაანგრია ის გარდაუვალი კედელი, რომელიც აღმართული იყო ძველ მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის. ეხლა სკოლის ფარგლებში მოწაფეებს აქვთ თავიანთი თვითმმართველობა, რომლის წარმომადგენელნი პედაგოგიურ საბჭოს სხდომებს ესწრებიან და იღებენ მონაწილეობას ახალი სკოლის შენებაში.

ახალი სკოლის მიზანია დაუმეგობროს ერთმანეთს მოწაფეები და მასწავლებლები. მასწავლებელი ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოეთხოვოს ძველი სკოლის „დისციპლინას". მასწავლებელი უნდა იყოს უფროსი ამხანაგი, დამრიგებელი, მრჩეველი, რომელიც მეგობრულად გადასცემს სულიერ საზრდოს თავისივე უმცროსს მეგობარს მოწაფეს.

საბჭოთა შრომის სკოლა იმით განსხვავდება ბურჟუაზიულ სკოლისაგან, რომ მან უნდა მისცეს მოწაფეს მთლიანი მარქსისტული მსოფლმხედველობა. ახალი სკოლის პროგრამა აგებულია მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, აქედან ცხადია, რომ თანამედროვე სკოლის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს სოციალურ მოვლენებში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ის იყოს მარქსიზმის მცოდნე და სკოლაში მარქსისტული მეთოდით აშუქებდეს საკითხებს. კლასობრივი ინტერესი და ბრძოლა, როგორც ძლიერი ისტორიული ფაქტორი, სკოლამ ნათლად უნდა გააცნოს მოწაფეს და მისცეს მას თანდართული საზოგადოების კლასობრივი გაგება.

საბჭოთა სკოლა უნდა იყოს გარკვეული პოლიტიკის მატარებელი, სკოლა უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან, რომელსაც ის ცხოვრებაში ატარებს.

ისინი, ვინც ლაპარაკობენ სკოლაში პოლიტიკის შეტანის წინააღმდეგ „წმინდა მეცნიერების" სასარგებლოდ, ფაქტიურად აკეთებენ უაღრესად პოლიტიკურ საქმეს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

ახალმა სკოლამ უნდა მისცეს საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი შეგნებული მოქალაქენი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშათა სახელმწიფოს შენებაში და საიმედო დამცველნი იქნებიან შრომის იდეალების. სკოლას უნდა მოვაშოროთ თავიდან ბურჟუაზიული ტრადიციები და დაუმორჩილოდ იგი პროლეტარულ ტრადიციებს. სკოლაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ეროვნულ შოვინიზმს. სკოლამ ნათლად უნდა განუმარტოს მოწაფეს, რომ დღეს ქართველი მუშა და გლეხი ძმური კავშირით არიან გადაბმულნი რუსის, სომხის, აზერბეიჯანის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებთან. სკოლამ უნდა გარდაქმნას ახალი თაობა იდეოლოგიურად, ფსიხოლოგიურად.

კომკავშირის და ბავშვთა კომორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე ახალი სკოლა არ აშენდება.

აი, აქ, ფრიად საპასუხისმგებლო როლი ეკისრება მასწავლებელს. ახალგაზრდობის აღზრდა ახალი სკოლის პრინციპების მიხედვით არ შეიძლება ჩინოვნიკურ მუშაობით. კომკავშირი და მასწავლებელი ერთად უნდა მუშაობდეს მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საბჭოთა სკოლის მასწავლებელი, თუ მას სურს ხალხის სამსახური, უნდა განიმსჭვალოს მშრომელთა ბატონობის აზრით, მაშინ ის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, როგორც პროლეტარიატის და მშრომელი გლეხების, ისე მომავალი თაობის წინაშე.

მასწავლებელი სოციალური მდგომარეობით ეკუთვნის მშრომელთა ინტელიგენციას და ის უნდა იდგეს თავის სფეროში მშრომელთა ძალაუფლების განმამტკიცებელთა რიგებში.

**სოლომონ მესტიაშვილი.**

# საურთიერთო დახმარების კასები რკ. გზის მუშებისათვის*)

ასეთ კასების არსებობა აუცილებელი საჭიროა რესპუბლიკის ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ შევეხებით მხოლოდ რკინის გზის დარგს, როგორც ორგანიზაციულად უფრო შეკავშირებულს. ამ დარგში არსებობენ დამხმარე კასები, მაგრამ ისინი თავისი სტრუქტურითა და თუ გნებავთ უძლურებითაც ბევრს ვერას აკეთებენ და ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა მის ნაცვლად, ან მისი გვერდით, დაარსდეს უფრო მძლავრი და ფართო დამხმარე კასა...

სანამ ამ კასის სტრუქტურაზე და ხასიათზე რამეს ვიტყოდე, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ მდგომარეობას იმ რკინისგზელების უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრებისას,რომელნიც,ოჯახის მარჩენალის რაიმე შემთხვევით დაღუპვის შემდეგ პირდაპირ აუტანელ პირობებში ვარდებიან და ხშირად ხელგაწვდილი მათხოვრის როლში უხდებათ გამოსვლა. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა მუშა - მშრომელების მდგომარეობა შედარებით უზრუნველყოფილია მისი მუშურ - გლეხური ხელისუფლების მიერ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა ვეცადოთ მას შეუმსუბუქოთ შრომა სოციალიზმის მშენებლობაში, თუნდაც ჩვენი საკუთარი ოჯახების წევრებზე ზრუნვით.

მართალია, ხელისუფლება უნიშნავს პენსიებს ინვალიდებს, უბედური შემთხვევით დაღუპულ ოჯახის წევრებს, მაგრამ დაზარალებული ოჯახებისთვის, იმ ოჯახებისთვის, რომელმაც მარჩენალი დაკარგა, არ არის საკმაო მარტო ეს დახმარება.

ამიტომ ყოველი რკინისგზელი ვალდებულად უნდა ხდიდეს თავის თავს აღმოუჩინოს დახმარება. დაღუპულ რკინისგზელის ოჯახის წევრებს. და, მე ვამბობ, რომ ყოველი რკინისგზელი შესძლებს ამ დახმარების აღმოჩენას.

მარტო საქართველოს რკინისგზა რომ ავიღოთ მაგალითისათვის, საკმარისი იქნება საილუსტრაციოთ ამ კასების შესაძლებლობის დასასურათხატებლად. ჩვენს რკინის გზაზე დაახლოებით 20,000 მუშა - მოსამსახურე ითვლება. ეს ხალხი გადაიხდის ერთდროულად ათ შაურს და ამრიგად რკინის გზის კასაში იყრის თავს 10,000 მანეთი. ეს თანხა მთლიანად ეძლევა გარდაცვალებულ რკინისგზელის ოჯახს დაუყოვნებლივ, გარდაცვალების შესახებ, ცნობის მიღებისთანავე. კასა გაიღებს თუ არა თანხას მაშინვე ავსებს მას რკინისგზელთა ჯამაგირებიდან გამოქვითვით ათ-ათი შაურის რაოდენობით.

შეიძლება ასეთი შემთხვევა ორჯერ ან სამჯერ მოხდა თვეში, მაშინ რკინისგზის კასა უქვითავს იმდენს ათ-ათ შაურს, რამდენი შემთხვევაც იყო რკინის გზელების დაღუპვა — გარდაცვალებისა.

ერთი შეხედვით ეს ძნელი და შეუძლებელიც გეჩვენებათ, მაგრამ, თუ წარმოვიდგენთ დაღუპულ რკინისგზელის ოჯახის წევრების ტრაგიკულ მდგომარეობას და მასთან თუ შეგნებულად შევხედავთ ამ საკითხს, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს არც ისე მძიმეთ დააწვება რკინისგზელებს კისერზე, და მასთან ამით ჩვენ დახმარებას გავუწევთ მთავრობას, რომელსაც ვეხმარებით უმუშევრობის და სილატაკის ლიკვიდაციაში.

კასების შენახვა — მოვლა — პატრონობა კი უნდა იკისროს გზათა სამმართველომ, რადგან სხვა ორგანოები ამას ვერ შესძლებენ, ვინაიდან მათ ხელში არ არის ჯამაგირების გაცემა, საიდანაც უნდა მოხდეს ამ თანხის შეკრება.

**ლ. კუპრაშვილი.**

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის თხოვნის თანახმად თუმცა აქ გამოთქმულ აზრს რედაქცია არ იზიარებს.

რედ.

# საყურადღებო ფაქტი

## ინდუსტრ. სესხის წარმატებით დაგროვების გამო.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ხელისუფლებამ დაიწყო ინდუსტრიალიზაციის ე. ი. შინაური სახელმწიფო სესხის დაგროვება, რაც დიდის წარმატებით დამთავრდა. ჩვენში, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში, სესხი გაცილებით მეტი რაოდენობით იქნა დაგროვილი, ვიდრე იგი გათვალისწინებული იყო თვით ხელისუფლების მიერ.

ამ ფაქტმა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ, განწყობილ ელემენტებს თავზარი დასცა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ხელისუფლება შესძლებდა სესხის ასე წარმატებით დაგროვებას და ისიც მცირე დროის განმავლობაში.

საბჭოთა წყობილების მოსისხლე მტრებმა კარგად იცოდენ, რომ შინაური სესხი არ იყო მარტო ხელისუფლების საქმე, არამედ იგი მთელი მშრომელი მასის მზრუნველობის საგანი იყო, რადგანაც ამ სესხს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის საწარმოვო ძალთა განდიდება და მით იმავე მშრომელი მასების ინტერესების დაცვა აქვს მიზნათ დასახული. სწორედ ამისთვის სცდილობდენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მტრები ამ საქმის ჩაშლას. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასსამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს მტრებსაც და მოყვრებსაც, რომ მას ღრმად აქვს შეგნებული თავისი საკუთარი ინტერესები და თავისი საბჭოთა სამშობლოს აღმშენებლობისა და დაცვის საქმეში ის სდგას თავის ხელისუფლებასთან ერთად და მასთან ერთად იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

კერძოთ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ; საქართველოს მშრომელთ არა ერთხელ გამოუჩენიათ თავისი ასეთი ნებისყოფა და სესხის მორიგ კამპანიას, რომელიც 180—190 პროცენტით იქნა შესრულებული ამ მხრივ არსებითად ახალი არაფერი უთქვამს.

სამოქალაქო ომების ეპოქა სრული ეკონომიური განადგურებით დამთავრდა, საბჭოთა წყობილების განკარგულებაში მხოლოდ განადგურებული წარმოება და ნახევრად მშიერი მოსახლეობა დარჩა. მიუხედავად ამისა, ფართე მშრომელ მასების დახმარებით, ხელისუფლებამ მაინც შესძლო ჩიხიდან გამოსვლა და განადგურებული წარმოების ხელ-ახალი აღდგენა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა? მან შესძლო დანგრეული მეურნეობის არა თუ მარტო აღდგენა—ომის წინა დროის დონესთან შედარებით, არამედ მისი კიდევ უფრო განვითარება. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს შესძლო ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისთვის და, რაც მთავარია, შესძლო კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

საბჭოთა კავშირისა და კერძოდ საქართველოს მშრომელმა მასებმა ცხადად დაინახეს ეს და ამიტომ ისინი მთელის თავისი ძალ-ღონით ცდილობენ ხელისუფლების ყოველ დაძახილზე არ დაზოგონ თავისი უკანასკნელი კაპეიკიც-კი და მით თავისი საბჭოთა სახელმწიფოს აყვავებას ხელი შეუწყონ.

**შოთა გოგუა.**

# წერილები პროვინციიდან

## აღმშენებლობა სენაკის მაზრაში

ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ათი წლის თავზე მეტი არ იქნება ჯამი გავუკეთოთ ჩვენს მიღწევებს აღმშენებლობითი დარგში, შევაფასოთ განვლილი გზა, ავწონდავწონოთ იგი და გავაკეთოთ შესაფერისი დასკვნა მომავალი მუშაობისათვის.

მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებებისა, როგორც გარედან ისე შიგნით, მიუხედავათ მატერიალური და ფინანსიური სიღარიბისა ,ჩვენ მარტო ჩვენი ძალ-ღონით შევძელით იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დანგრეული სახელმწიფო ეკონომიკის აღდგენა და ჩვენი ახალი, ჯერ უმაგალითო სახელმწიფო წყობილების, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად გამაგრება ისე, რომ დღეს ჩვენ ძალა შეგვწევს მტერს ღირსეულად შევხვდეთ და ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყანა დავიცვათ.

დიდი ოქტომბრის ათი წლის თავზე სენაკის მაზრასაც თამამად შეუძლია თვალი გადაავლოს შვიდი წლის ძარღვებ დაჭიმულ მუშაობას და აღნიშნოს თავისი მიღწევები.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს მაზრას ექნება ახალი ენერგია აბაშის ელექტრო-სადგურის სახით. მისი ძალა გააძლიერებს არა მარტო სენაკის მაზრის მაჯის ცემას, არამედ მიაწოდებს თავისი ენერგიას ქ. ფოთს და ნაწილობრივად ზუგდიდის და ქუთაისის მაზრასაც. ამ ძალამ უნდა მოახდინოს მთელი რევოლიუცია ჩვენი მაზრის ეკონომიკაში. ის გაანათებს გლეხების ქოხებს და პირველი ადგილს დაიჭერს მის მეურნეობაში.

საკმარისი იყო ცუდი ამინდები, რომ წყლები ადიდებულიყო და ერთი სოფელი მეორეს მოწყდებოდა. უგზოობისა და უხიდობის გამო გლეხს საშუალება არ ქონდა, რომ თავისი ნაწარმოები ქალაქის ბაზარზე გაეტანა. დღეს ეს სიძნელენი საგრძნობლად გადალახულია. გაკეთებულია ახალი ხიდები და შეკეთებულია ძველები. ერთობ ბევრი არის გაკეთებული ახალი გზები.

თვით ქ. სენაკში მთავარი ქუჩების მოკირწყვლა უკვე დამთავრებულია, დანარჩენებიც ელიან თავიანთ რიგს. მთელი მაზრა დასერილია ტელეფონის და ფოსტა - ტელეგრაფის ქსელით, რომელიც უწინ გლეხის ოცნებას წარმოადგენდა.

განათლების დარგში მოხდა მასწავლებელთა რიცხვის საგრძნობლად გადიდება, მათი გადამზადება და გადაჯგუფება, სკოლების ძველი შენობების შეკეთების გარდა გაკეთებულია მრავალი ახალი სკოლის შენობა. მომავალში ქ. სენაკში უნდა გაშენდეს შესაფერისი შენობები სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებისა, რომლის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილი და დამტკიცებულია. გადიდებულია და გამშვენიერებულია ქალაქის ბაღი.

მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევები ჯანმრთელობის დარგში გვაქვს. ცნობილია, რომ სენაკის მაზრა ეკუთვნის ჭაობიან ადგილებს. აქ ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა სენი: მალარია, და სხვა. ხელისუფლება ამას დიდ ყურადღებას აქცევს. სოფელში გახსნილია საექიმო პუნქტები. თვით ქალაქში არსებობს კარგად მოწყობილი საავადმყოფო 30 საწოლით: დიდი ხანი არ არის, რაც გაიხსნა ცენტრალური პოლიკლინიკა ქირურგიული, ვენერიული, შინაგანი, ბაქტერიოლოგიური და კბილის საექიმო კაბინეტებით. განზრახულია ახლო მომავალში კიდევ გაიხსნას თვალის და რენტგენის კაბინეტები. აქ ყველა ავადმყოფს შეუძლია უფასოთ ყოველგვარი საექიმო დახმარება მიიღოს.

მალარიასთან ბრძოლის მიზნით აქ გახსნილია სამალარიო სადგური, სადაც ქინაქინა ავადმყოფებს უსასყიდლოდ ურიგდება. დღეს გლეხმა შეიგნო ექიმობის სარგებლობა და ის თავის დროზე მიმართავს ხოლმე ამა თუ იმ სამკურნალო დაწესებულებას.

ჩვენს მაზრაში ვერ დამისახელებთ ხალხის ცხოვრების ვერც ერთ დარგს, რომელშიც არ გვქონდეს თვალსაჩინო მიღწევები.

აი მოკლეთ ის რისი გაკეთებაც შევძელით ჩვენ ამ ხნის განმავლობაში. რასაკვირველია ,ეს საკმარისი არ

არის. ცხადია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად უკვე სწარმოებს ძარღვებ დაჭიმული გამუდმებული მუშაობა და ეს კი იმის სრული საბუთია, რომ ჩვენი მაზრა კულტურულ-ეკონომიურად კიდევ უფრო აყვავდება და საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა საქართველოში.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შვიდი წლის განმავლობაში ერთი ათად მაინც გააუმჯობესა ჩვენი მაზრის კულტურულ - ეკონომიური მხარეები. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იმავე ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ოცი წლის თავს ჩვენ ვიდღესასწაულებთ ათჯერ მეტის მიღწევებით და წარმატებით.

ექ. ლ. დუნდუა.

---

## ხიდისთავი (გურია)

ამას წინად შესდგა ხიდისთავის თემის ყოფ. მენშევიკების კრება, რომელზედაც დაესწრენ 60-მდე ამხანაგები. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი 1. სამაზრო ბიუროს მოხსენება და 2. უბნებში რწმუნებულების არჩევა. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოზ. დოლიძემ. რომელმაც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მენშევიკების მუშაობას საქართველოში.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც უპასუხა მომხსინებელმა, რის შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. დოლიძის მოხსენება არსებულ მდგომარეობის შესახებ, ჩვენ. ხიდისთავის თემის ყოფ. მენშევიკები, ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებთ, რომ არა გვაქვს და არც გვექნება რაიმე კავშირი საზღვარგარეთ გახიზნულ საქართველოს ყოფილ დემოკრატიულ მთავრობასთან და არც ვაძლევთ მათ უფლებას, რომ იმათ ივაჭრონ ქართველი ხალხის სისხლით და ილაპარაკონ ქართველი ხალხის სახელით.

მათ უნდა იცოდენ, რომ დიდი ოქტომბრის მონაპოვარს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ჩვენ დავიცავთ კომპარტიასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ჩვენ ვეუბნებით საქართველოს მშრომელი ხალხის მოღალატე ემიგრანტებს, რომ თუ ისინი გაბედავენ და თავისი ყაჩაღური ზრახვებით წამოვლენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაშინ ჩვენ დაუხვთებით მოწინავე მწკრივში იარაღით ხელში; დეე, იცოდენ მათ, რომ ჩვენში ნუ ეძებენ მათ მოკავშირეს, არამედ გვიგულისხმონ სასტიკ მოწინააღმდეგეთ.

მეორე კითხვის შესახებ: არჩეულ იქნა საუბნო რწმუნებულები 10 კაცისაგან, რომელმაც თავის მხრივ გამოყო სათემო ბიურო.

ამის შემდეგ სათემო ბიუროს სახელზე შემოვიდა შემდეგი განცხადება: „ჩვენ ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი დავრწმუნდით რა საქართველოს მენშევიკური პარტიის შეცდომებში, რომ ის ასცდა რევოლიუციონურ გზას და მიემხრო ბურჟუაზიას, როგორც მშრომლები, ვტოვებთ ამ პარტიას და ვსდგებით კომინტერნის დროშის ქვეშ და გვსურს ვითანამშრომლოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რისთვისაც გთხოვთ აგვიყვანოთ აღრიცხვაზე. „ახალგზელთა“ რიგებში“. ხელს ვაწერთ: ილიკო თავბერიძე, კოწია დუმბაძე, ბეგლარ ჩიგოგიძე, კოლია გოგიბერიძე, ხარიტონ გოგიბერიძე, გრიგოლ ლომთათიძე, ევტიხი გოგიბერიძე, აფთონ ჯაში, პარმენ გოგიბერიძე, სიმონ ლოჭაძე, კ. თავართქილაძე, მ. ჩიგოგიძე; ფ. ლომთაძე, მოსე თავართქილაძე, ვარდენ თავართქილაძე, მელიტონ კალანდაძე, ივანე ლომთათიძე, ერმილე ჩიგოგიძე, ბესარიონ ლომთათიძე, სერგო კალანდაძე, პროკოპი ცენტერაძე, პოლიო ლომთაძე, ფილიპე ჯაში, გრიგოლ ქლენტი, ევტიხი გოგიბერიძე, პანტ. ფოცხიშვილი, ივანე გუნთაიშვილი, ვალერიან კალანდაძე, ვასო ჩიგოგიძე, იაგორ წიტაიშვილი, ივანე, კალანდაძე, მირიან კალანდაძე, სანდრო შონია, ქსენია ქორიძე, ა. ასათიანი, პავლე კალანდაძე, პ. თედორაძე, ნოე ლომთათიძე, ვანო ლომთათიძე, ერმ. ფოცხიშვილი, ლარ. კალანდაძე, პეტრე ლომთათიძე, ნიკიტა ლომთათიძე, ჯ. წიტაიშვილი, კ. მეგრელიძე, მ. კალანდაძე, მიხაკო გოგიბერიძე, იპატი ჯაში, მანასე ჯაში, ვერა ჯაში, დანიელ გოგიბერიძე იაგორ გოგიბერიძე, ივანე გოგიბერიძე.

დამსწრე.

---

# ყოფ. ს.-დ. მუშების ხმა

ჯერ კიდევ 1923 წ. ჩამოვშორდი არალეგალურ მუშაობას და არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია 1924 წ. აგვისტოს ავანტიურაში, რაც, რა თქმა უნდა, კარგათ იცის ადგილობრივმა (ლეჩხუმის) ხელისუფლებამ; 1925 წ. კი, მუშათა კომისიის მუშაობის დროს, ოფიციალურად დავდექი საბჭოთა პლატფორმაზე, გავტარდი რეგისტრაციაზე და მას შემდეგ კიდევ უფრო ერთგულად და ბეჯითად ვეწევი ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებთან.

ეხლა, როდესაც ვხედავ, რომ მებრძოლი მენშევიზმი, არ იღებს ხელს თავის ავანტიურისტულ პოლიტიკაზე და ბოროტ მუშაობაზე და ახალ-ახალ ორგანიზაციულ მეთოდებს ხმარობს ამ საქმეში, აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია განვაცახდო, რომ ემიგრაციის ეხლანდელი მუშაობა ჩვენს ხალხს უქადის კვლავ ავანტიურის განმეორებას და წარმოადგენს რეაქციის აშკარა და აქტიურ სამსახურს.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე მტერიც კი გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, ურყევად სდგას მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე და მტკიცედ ანვითარებს სოციალური მეურნეობის ელემენტებს. ჩემს მორალურ მოვალეობით მიმაჩნია მოუწოდო ყველას, რომ ვისაც ოდნავ კიდევ შერჩენია მშრომელი ხალხის და ერის სიყვარული უარყოს ემიგრაციის ბელადების დამღუპველი საქმიანობა, და აქტიურად დადგეს საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რიგებში, რომელიც იცავს რუსეთის დიდ რევოლიციას, მუშათა კლასის და მცირე ერების ინტერესებს, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალიზმის გამარჯვების საქმე!

ნიკოლოზ ასათიანი.

---

## ჩვენი განცხადება

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას! ჩვენ, დები თამარ და რუსუდან ფალავანდიშვილები ვსწავლობდით თბილისის მე-7 შრომის სკოლაში, სადაც 1925—26 წლის 26 მაისს მოწაფეთა მცირე ნაწილმა მოახდინა უაზრო გაფიცვა, რომელშიაც ჩვენც ვღებულობდით მონაწილეობას. შემდგომმა გამოცდილებამ სავსებით დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ნაბიჯი იყო შემცდარი და მუშურ - გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული. გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ვსწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ახ. მარქსისტთა ორგანიზაციასთან, რომლის საქმიანობა მიმართულია მშრომელთა საწინააღმდეგოდ და სავსებით ვიზიარებთ ყოფილ ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე განყოფილების ხაზს.

ძირს ქართველი ემიგრაციის დამღუპველი საქმიანობა, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

თამარ და რუსუდან ფალავანდიშვილები.

---

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.